ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 თებერვალი, 2022 №26 (8804) ფასი: 60 თეთრი

## „ხაშურში 50 წლამდე მამაკაცს ყელი გამოჭრეს, დედამისი კი საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ნახეს“

გვ.5




# „გახარიამ ცხვირწინ ააცალა „ქართულ ოცნებას“ სამი საკრებულო“



## „ოპოზიცია მკვდარია და არ გაცოცხლდება“



გვ.3

## „საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას“



გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე: „საქართველოს საზოგადოებაში, 2008 წლისგან განსხვავებით, ძალიან მაღალია კაპიტულანტური განწყობა“



გვ.2

## ნიკა მელია: „დიახ, მე ვიყავი მიშას ჩამოსვლის წინააღმდეგი“

## მიუერთდება თუ არა თბილისი კიევი–ლონდონი–ვარშავის ალიანსს?

უკრაინის საგარეო მინისტრი: „ევროკავშირსა და ნატოში შესვლას ვერ დაველოდებით“



გვ.4

## ლაშა ჩხარტიშვილი: „მოვუწოდებ მოსახლეობას, საჩივრები შეიტანონ თელმიკოს წინააღმდეგ“

გვ.3

„ადამიანებს ხელი აქვთ ჩაქნეული, რომ ამ კომპანიების უკან მაღალჩინოსნების ინტერესები დგას და არფერი გამოვა, მაგრამ არც ასეა“





გვ.4

## გიორგი გაჩეჩილაძე: „2008 წლის ომის შედეგად, რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბაზა აღადგინა“

## „ვეღარ მოვითმინე, ამდენი წელია ტერორში ვარ“ — 82 წლის კაცმა ჩვენება მისცა

გვ.5



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** დადიანების სასახლის ეზოდან სკულპტურა „კოლხური ნანა“ მოიპარეს

**4** კელი დეგნანი: „რუსეთს სურს, შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და ყველაფერი აკონტროლოს“

**5** ქალმა სახლში იმშობიარა და ახალშობილი სანაგვეში გადააგდო

**6** აშშ-მ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობის გეგმა გაშიფრა

# „საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას“

## ხათუნა ლაგაზიძე: „საქართველოს საზოგადოებაში, 2008 წლისგან განსხვავებით, ძალიან მაღალია კაპიტულანტური განწყობა“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა შესაძლებლობები ჩნდება საქართველოსთვის და რა გაუშვა ხელიდან „ოცნების“ ხელისუფლებამ უკრაინის მიმართ მკაფიო სოლიდარობის არგამოცხადების გამო? პრეზიდენტის მკაფიო განცხადებების შემდეგ უნდა ველოდოთ თუ არა ნაბიჯებსაც და რატომ თვლის, რომ პრეზიდენტმა საზოგადოება უნდა გაიხადოს პარტნიორად და როგორ შეიძლება მოხერხდეს ეს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი საერთაშორისო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**



– რაც შეეხება იმას, უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციაში „ქართულმა ოცნებამ“ რატომ არ ჩაწერა სიტყვა „რუსეთის ფედერაცია“, ეს იმის გამო მოხდა, რომ ისინი ერიდებიან რუსეთის გაღიზიანებას და აგრძელებენ დეკლარირებულ არგაღიზიანების პოლიტიკას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისაა, რომ ეს კარგად „იყიდება“ მოსახლეობაში. რა თქმა უნდა, არავინ მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას აგრესიისკენ. უბრალოდ, უნდა ავწონ-დავწონოთ რუსეთის მიზნები. პუტინის მიზანია რუსეთის გავლენის აღდგენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე ნებისმიერ ფასად. აქედან გამომდინარე მთავარი კითხვა შემდეგია: არგაღიზიანების პოლიტიკა გადააფიქრებინებს პუტინს საქართველო შეიყვანოს თავის საოცნებო „ახალ საბჭოთა კავშირში“?! რა თქმა უნდა, არა. ამიტომ, თუ ქვეყნის მიზანი არის, არ გახდეს რუსული სივრცის ნაწილი, მაშინ უნდა გავარკვიოთ, ამ მიზნისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია: ჩაიკეტოს საქართველოს ხელისუფლება თავის სივრცეში და დარჩეს მეგობრების გარეშე რუსების პირისპირ თუ ის, რომ თავი მოიაზროს ერთიანი დასავლური სივრცის ნაწილად და იყოს აქტიური უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობაში, იგივე სომხეთთან, აზერბაიჯანთან თუ უკრაინასთან ურთიერთობასა და სტრატეგიულ პარტნიორებთან ყოველდღიურ კონტაქტში.

მოდი, ასე მივუდგეთ, რომელი უფრო რაციონალური გზაა. „ოცნების“ მიდგომა, რომ რაც უფრო ჩუმად ვიქნებით, მით უფრო გადავურჩებით რუსულ ექსპანსიას, სრულიად არარაციონალურია. ასეთი მიდგომებით შენ რჩები მეგობრების და პარტნიორების დახმარების გარეშე; ამით არ აიძულებ დასავლეთს, რომ მათი ყურადღების ცენტრში იყო, რის საწინააღმდეგო მოქმედებებსაც ახორციელებს უკრაინა – მოითხოვე და მოგეცემაო. ის ეუბნება დასავლეთს, რომ დაიცავი შენი ღირებულებები, რაც ეხება ადამიანის უფლებებს, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და თუ ამ ვალდებულებებს არ ასრულებ, მაშინ რა დასავლეთი ხარ, რა დემოკრატიასა და საერთაშორისო სამართალზე აპელირებო. ისინიც იძულებულები არიან, რომ შემხვედრი ნაბიჯები გადადგან. საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამას არ აკეთებს და არ ახსენებს ვალდებულებებს. ამავდროულად ხელისუფლება ცდილობს, რომ ამომრჩეველში ბუნდოვანება შექმნას, რომ ისინი ღიად არ დეკლარირებენ, თორემ ნატოსკენაც მიდიან და ევროკავშირისკენაც.

***– ახსენეთ, რომ საქართველო დასავლეთს ვალდებულებებს არ ახსენებსო და რატომ? რა იმალება ამის უკან?***

– ჩვენ უნდა გავმიჯნოთ რუსული აგრესია, როგორც სამხედრო საფრთხე და რუსეთის მიზანი, რომ აღადგინოს თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე. ჩვენ გავაღიზიანებთ თუ არა, ის თავის მიზანს არ შეიცვლის. მისი მიზანი ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს თავის სივრცეში მოქცევაა. ამიტომაც, უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება უსაფრთხოების მეტი გარანტიები მივიღოთ და მაქსიმალური უსაფრთხოების ბერკეტები შევქმნათ. ამ გზაზე ერთადერთი გამოსავალია, რომ დასავლეთმა თავისი მორალური ვალდებულებები აღიაროს საქართველოს, როგორც თავისუფალი სამყაროს წევრის მიმართ, როგორც დღეს უკრაინის მიმართ იქცევა. თუ ჩვენ გავირინდეთ, დასავლეთიც თვალს მოგვიხუჭავს და ჩათვლის, თუ ამათ არ უნდათ თავისუფლება, ჩვენ ხომ არ მივაძალებთო. აკი ამბობს კიდეც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი ფიონა ფილი ამერიკის კონგრესში, რომ საქართველო უკვე ნეიტრალურ-მარგინალური ქვეყანა გახდაო.

ბოლო წლებში ისე მოხდა, რომ ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევით საქართველოს საკითხი მოიხსნა საერთაშორისო დღის წესრიგიდან. დღეს უკრაინასთან კვლავ გააქტიურდა საქართველოს საკითხიც, ვინაიდან პუტინის ულტიმატუმი დასავლეთის მიმართ თანაბრად ეხებოდა საქართველოსა და უკრაინას. აქედან გამომდინარე საქართველო თავისთავად მოექცა საერთაშორისო დღის წესრიგში და ამას ნათლად გამოხატავს ბრიტანეთის პრემიერის კიევში ვიზიტი, სადაც მან თქვა, რომ ეს მხოლოდ უკრაინის საკითხი არ არის და რუსეთი ემუქრება ევროპულ უსაფრთხოებას, მათ შორის საქართველოს და მოლდოვას. ეს ფორმულა ადასტურებს იმას, რომ დასავლეთი საქართველოს ერთიანი ევროპული უსაფრთხოების სივრცის ნაწილად მოიაზრებს.

***– თქვენც ახსენეთ, რომ საქართველოს საკითხი კვლავ გაჩნდა დასავლეთის დღის წესრიგში. ხომ არ ვკარგავთ შესაძლებლობას სირაქლემას პოზაში ყოფნით?***

– კი, რა თქმა უნდა. ეს არის ისეთი ტიპის გამოწვევა, რომლის წინაშეც საქართველო არ მდგარა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. მეორე მხრივ, ეს აჩენს შესაძლებლობასაც, რისი გამოყენებისთვისაც საჭიროა, რომ პროცესს შორიდან არ ვუყუროთ. ობამას პრეზიდენტობისას რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა ჩვენ ხელისუფლებამდე რეალურად დაიწყო დასავლეთმა, მაგრამ დაინახეს, რომ რუსეთი ამით არ ჩერდება.

***– საქართველოზე უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ეს არის ფრთხილი პოლიტიკის გამო თუ უფრო მეტი და გულისხმობს რუსეთიდან მიღებული დირექტივების დამორჩილებას?***

– არც ერთი არ გამოირიცხება. თუმცა, ორივე თანაბრად საშიშია. იმიტომ, რომ ბეწვის ხიდზე გავდივართ. როდესაც შესაძლებლობებზე ვსაუბრობთ, იქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ფორმატები, რომლებიც ახლა ყალიბდება. მაგალითად, ბრიტანეთის, აშშ-ის და უკრაინის ერთიანი პოლიტიკურ-სამხედრო თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ დაანონსდა და უახლოეს დღეებში უნდა მოეწეროს ხელი. ეს რეალურად არის ევროპაში უსაფრთხოების ახალი ფორმატი, რომელიც ნატოს ალტერნატივა არ არის, მაგრამ მის პარალელურად იქმნება. იმიტომ, რომ ნატოში სულ უფრო და უფრო რთულდება ხოლმე გადაწყვეტილებების მიღება თუნდაც რუსული გავლენების და წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესების გამო. ამიტომაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და მათთან პოზიციურად ახლოს მდგომი ევროპული ქვეყნები დგანან ამ აუცილებლობის წინაშე, რომ შექმნან უსაფრთხოების პარალელური ფორმატები, რომელიც ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს. ამ ფორმატში საქართველოც მოიაზრება. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიტანეთის და პოლონეთის პირველი პირების ჩასვლის წინა დღეს განაცხადა, რომ უკრაინა მიდის მცირე კოალიციების ფორმატების გზით. ეს უფრო ეფექტურია როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე სამხედრო-უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამაში მოიაზრება საქართველოც, ბალტიისპირეთის ქვეყნები, მოლდოვა, რუმინეთი და თურქეთიც. ეს არის ის, რაც სრულად ჯდება ბრიტანეთის უსაფრთხოების კონცეფციაში. ეს საქართველოს ლავირების შესაძლებლობასაც იძლევა.

***– მაგრამ გამოიყენებს საქართველო ამ შესაძლებლობას? თუ უნდა ველოდოთ, რომ ფრთხილი პოლიტიკის მოტივით ამაზეც უარს იტყვის საქართველოს ხელისუფლება?***

– მცირე კოალიციების ძიება და მათში ჩართულობა არის ერთგვარი ტესტი საქართველოს ხელისუფლების წინაშე. თუ საქართველომ შეთავაზება მიიღო და დაბლოკა, ეს უკვე იმ კითხვაზე პასუხი იქნება, რაც დამისვით, რომ ეს არის სიფრთხილე თუ რუსეთის დირექტივებზე დამორჩილება. მაშინ ნათელი იქნება, რაც არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკა.

რა შეიძლებოდა გაეკეთებინა საქართველოს, რომ თან უკრაინისთვის გამოეცხადებინა სოლიდარობა, დასავლეთში შეენარჩუნებინა თავისი როლი და მათი ყურადღება დაემსახურებინა? – ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჯერ კიდევ დეკემბერში იყო ჩასული კიევში. თურქეთის პრეზიდენტი სულ ახლახან იმყოფებოდა უკრაინაში, სადაც, სხვათა შორის, გააფორმა ხელშეკრულება უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების, დრონების ერთობლივ წარმოებაზე. ხომ შეეძლო ჩვენს ხელისუფლებას აზერბაიჯანთან და თურქეთთან კოორდინაციაში შეემუშავებინა უკრაინის მხარდაჭერის პოლიტიკა?! ასეთ შემთხვევაში უფრო სოლიდურადაც იქნებოდა წარმოდგენილი დასავლეთის თვალში, რეგიონშიც წონა გაეზრდებოდა და ამასთან იქნებოდა უფრო დაცულიც, რადგან რუსი ასე მარტივად ვერ წამოარტყამდა ხელს აზერბაიჯანის და თურქეთის გვერდით. ამაზე ვსაუბრობ მე და, რა თქმა უნდა, ხისტ პოლიტიკაზე არ ვაკეთებ აქცენტს.

***– ხელისუფლებისგან განსხვავებით მკაფიო იყო პრეზიდენტი. განცხადებებში გაბედულია, მაგრამ ელოდებით მეტ ქმედებებს თუ დარჩება გაბედულ განცხადებად? იმიტომ, რომ იგივე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზეც მკაფიო და გაბედული განცხადებები ჰქონდა, თუმცა მას ვეტო აღარ მოჰყვა?***

– პრეზიდენტს კონსტიტუციით შეზღუდული აქვს უფლებები, მაგრამ მას მეტ გაბედულობისთვის სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა. საზოგადოება და პრეზიდენტი უნდა იყვნენ პარტნიორები იმ საქმეში, რასაც საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების გამოწვევები ჰქვია. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმაც უნდა გადადგას ნაბიჯები საზოგადოებისკენ, რათა დიდი ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვოს და საზოგადოებამაც. ეს უნდა იყოს შემხვედრი პროცესი. ცალ-ცალკე „ქართულ ოცნებასთან“ გამკლავებას ვერ შეძლებს ვერც პრეზიდენტი და ვერც საზოგადოება. თუ პრეზიდენტი დაიწყებს ამგვარ პროცესს, მაშინ საზოგადოებასთან ერთად საკმაოდ სოლიდური ძალა იქნება.

***– რა ნაბიჯებს გულისხმობთ? რა კონტექსტში უნდა გადადგან პრეზიდენტმა და საზოგადოებამ ნაბიჯები ერთმანეთის მიმართულებით?***

– მე შევხვდი პრეზიდენტს. მას ეროვნული თანხმობის პროცესში აქცენტი საზოგადოების ჩართულობაზე გადააქვს. ამან უნდა გამოკვეთოს ერთგვარი ეროვნული კათარზისი და შეთანხმება წარსულზე. ასევე, უნდა გამოიკვეთოს ახალი საზოგადოებრივი სახეები. თუ ეს მოხერხდა, ეს მე კარგ გამოსავლად მესახება – ის, რომ პრეზიდენტმა და საზოგადოებამ შეძლონ პარტნიორობა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის და უსაფრთხოების საკითხებში. ვერ ვიტყვი, რომ მარტივი პროცესია, მაგრამ აუცილებელია.

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო 2008 წელსაც კი არ მდგარა ასეთი საშიშროების წინაშე, როგორც დღეს. რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის შედეგად საქართველოს საზოგადოებაში, 2008 წლისგან განსხვავებით, ძალიან მაღალია კაპიტულანტური განწყობა. საზოგადოება დაქსაქსულია, წაკიდებულია ერთმანეთის მიმართ და დაყოფილია ანტაგონისტურ ჯგუფებად. მთელი ის ენერგია, რაც სახელმწიფო აღმშენებლობას უნდა ხმარდებოდეს, საუბედუროდ ხმარდება ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფების მხრიდან ბოლმის ნთხევას. რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო-დივერსიული ოპერაციების შედეგად ფსიქოლოგიურად ხერხემალშია გადატეხილი ერი. ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს გაცილებით დიდია საშიშროება, ქვეყანამ დაკარგოს დამოუკიდებლობა, ვიდრე ეს იყო თუნდაც 2008 წელს.

# ნიკა მელია: „დიახ, მე ვიყავი მიშას ჩამოსვლის წინააღმდეგი“




დიახ, მე ვიყავი მიშას ჩამოსვლის წინააღმდეგი – დიახ, მე, ისევე, როგორც მიშა, არ ვთვლი, რომ მიშას თავისუფლება არის ერთადერთი იდეა, რომელმაც ხალხი გარეთ უნდა გამოიყვანოს, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია სოციალურ ქსელში წერს, რითაც მედიაში გავრცელებულ ჩანაწერს ეხმაურება.

მელიას განცხადებით, იდეა, რომელმაც ხალხი უნდა გამოიყვანოს, არის ცვლილება, რომელსაც უნდა მივაღწიოთ, ეს არის უკეთესი საქართველო.

„დიდი მადლობა TV იმედს და ე.წ. „მოქალაქეს“, ვინც ეს ვიდეო მიაწოდა,

ბოდიშს ვიხდი უხარისხო ჩანაწერისთვის, მაგრამ ზუსტად იმავეს ახსნას ვცდილობ ყველა შეხვედრაზე, შესაბამისად, ჩანაწერის უხარისხობამ რომ არ დაგაბნიოთ, მოკლედ ვიტყვი:

დიახ, მე ვიყავი მიშას ჩამოსვლის წინააღმდეგი და ეს მოსაზრება არა მხოლოდ პირად საუბრებში, არამედ საჯაროდაც არაერთხელ დამიფიქსირებია.

დიახ, მე, ისევე, როგორც მიშა, არ ვთვლი, რომ მიშას თავისუფლება არის ერთადერთი იდეა, რომელმაც ხალხი გარეთ უნდა გამოიყვანოს.

იდეა, რომელმაც ხალხი უნდა გამოიყვანოს – შეკვეთა, რომელიც მოგვცეს და მივიღეთ – არის ცვლილება რომელსაც უნდა მივაღწიოთ, ეს არის უკეთესი საქართველო, იმაზე უკეთესი საქართველო, ვიდრე გვქონდა 2003-2012 წლებში და იმაზე ბევრად უკეთესი საქართველო, ვიდრე გვაქვს 2012 წლიდან დღემდე.

ცვლილება, რომელსაც თითოეული ოჯახი იგრძნობს – არის ის, რისთვისაც ვიბრძვით მე და ჩვენი თანამებრძოლები, ის რისთვისაც იბრძვის მიშა, რომელიც იყო თავისუფალი, წარმატებული და ახლა არის პატიმარი.

ჩვენ შეიძლება განსხვავებული სტრატეგია გვაქვს, თუმცა გვაქვს საერთო მიზანი და ესაა მთავარი.

ის, რომ შეიძლება ტაქტიკაზე ვერ შევთანხმდეთ, არ ცვლის საერთო სურათს.

დიახ, გეტყვით, რომ ოპოზიციის უკეთესი მომზადებაა საჭირო იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ:

გვიყალბებენ არჩევნებს, გვართმევენ გამარჯვებას; თუმცა არაფერი გამოუვათ თუ ჩვენ ვიქნებით კარგად ორგანიზებულები და გამარჯვებაზე ორიენტირებულები.

არაფერი გამოუვათ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შორის წარუმატებლობაში დამნაშავეთა ძებნის ნაცვლად, გამარჯვებაზე ვიფიქრებთ.

დიახ, მე მგონია, რომ უნდა ვორიენტირდეთ ერთიან, მთავარ მიზანზე – უკეთეს საქართველოზე.

ჩვენ შეიძლება ვიყოთ განსხვავებულები, მაგრამ გვქონდეს ერთი მიზანი.

ჩვენი იდეა არის უკეთესი საქართველო და მიზანი გვაქვს ყველას ერთი – დანარჩენზე გვქონდეს ბევრი დისკუსია, მაგრამ ბოლოს, იდეით ანთებულები, ჩვენი სიმტკიცით და თანმიმდევრულობით ვიმარჯვებთ.

დიახ, მე ვიცი, რომ ჩვენს პარტიას აქვს დიდი მხარდაჭერა – თუმცა არასაკმარისი, ბევრად მეტია ის ადამიანი, ვისაც უნდა ცვლილება და ჩვენ, ყველანი, ვისაც არ მოგვწონს დღევანდელი ყოფა, არ მოგვწონს განსხვავებული მიზეზებით – ვართ თანამოაზრეები;

ყოველდღიურად ვხვდები ასობით ადამიანს და ვიცი, როგორ მივაღწევთ ცვლილებებს.

და დიახ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება არ იყოს პარტიის გამარჯვება.

ეს არ უნდა იყოს გამარჯვება ნიშნის მოგებით, რომ ვინმემ ვინმეს აჯობა. არა, ეს უნდა იყოს ქვეყნის გამარჯვება, უკეთესი ხვალინდელი დღე ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის.

P.S. TV იმედის დადგმული, საბჭოთა სტილის კრიტიკა ყოველ ჯერზე მაფიქრებინებს, თუ რამდენად მართალია ყველა ის ადამიანი თავის ბრძოლაში, ვისაც ამ ეთერში „აშავებენ“ – წერს მელია.

ინფორმაციისთვის, ტელეკომპანია „იმედმა“ 5 თებერვალს ჩანაწერი გაავრცელა. „იმედის“ თანახმად, ვიდეო მოქალაქემ მიაწოდა. ჩანაწერში ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ნიკა მელია საუბრობს, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებაა. ჩანაწერის თანახმად, მელია აღნიშნულს არ ემხრობა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მოვუწოდებ მოსახლეობას, საჩივრები შეიტანონ თელმიკოს წინააღმდეგ“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ ვადამდელი არჩევნები თავად დანიშნოს“



ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, მიუხედავად გაზრდილი ტარიფებისა და სოციალური ფონისა, ადამიანები თითქოს ამ მოცემულობას ეგუებიან. თქვენ რითი ხსნით ამ რეალობას?***

– ამ ქვეყანაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია. მოსახლეობის 80% გაღატაკებულია. ერთადერთ ხსნას ადამიანები ამ ქვეყნის დატოვებაში ხედავენ. ნაწილი იმ ქვეყნად მიდის, ნაწილი კი საზღვრებს მიღმა. მდგომარეობა მართლაც უმძიმესია. არაფერი არ კეთდება, რომ ადამიანებს ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეთ ყოფა, პირიქით, ყოველდღე ცხოვრება უძვირდებათ. ტოტალურ ინფლაციაზე, წამლების, საკვების, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის გაზრდილ ფასებზე, თითქოს ხელისუფლება არ იყოს პასუხისმგებელი. თითქოს, ეს არ ეხებოდეს ამ მთავრობას. ამიტომ, სახეზეა სრული მართვადი ქაოსი.

ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, როგორც მოქალაქეების გვერდით მყოფისთვის, აბსოლუტურად გასაგებია, რომ ადამიანები გადარჩენისთვის იბრძვიან, ყოველდღიური პრობლემების მოგვარებისთვის იბრძვიან, მაგრამ როდესაც ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში გაგდებს ხელისუფლება, მაშინ შენი პროტესტი უნდა დააფიქსირო. ვალდებულიც კი ხარ.

***– სემეკის გადაწყვეტილებით კომისია თელასსა და თელმიკოში შედის. რაიმე შედეგს თუ ელოდებით?***

– ეს არის საუკეთესო მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ადამიანებს ხელი აქვთ ჩაქნეული, რომ ამ კომპანიების უკან მაღალჩინოსნების ინტერესები დგას და არაფერი გამოვა, მაგრამ არც ასეა.

რაც შეეხება მოლოდინებს, დიდ გარღვევას არ ველი, მაგრამ გარკვეული უკან დახევა, სავარაუდოდ, იქნება ჩვენი, საზოგადოების, აქტიურობის შედეგად. უფრო მეტი აქტიურობა რომ ყოფილიყო, შეიძლება ტარიფების გაზრდაც კი უკან წაელოთ, მაგრამ ახლა ასე არ მოხდება. მე მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ საჩივრები შეიტანონ ინდივიდუალურადაც და ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდებიან ეს მძარცველი კომპანიები. ასევე მნიშვნელოვანია, ვიღაცამ პასუხი აგოს ამ ყველაფერზე და ამან უბრალოდ არ ჩაიაროს. ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

***– თქვენ როდესაც საუბრობთ, რომ ადამიანები არ აპროტესტებენ, ხომ არ ფიქრობთ, რომ იმედგაცრუებულები არიან? ერთი მხრივ ხედავენ სუსტ ოპოზიციას და მეორე მხრივ, ხელისუფლებას, რომელიც მათზე არ ზრუნავს.***

– გასაგებია, რომ იმედგაცრუებაც მაღალია. ნიჰილისტური განწყობები ჭარბობს საზოგადოებაში, მაგრამ ოპოზიციის, პოლიტიკოსების ერთ ქვაბში მოხარშვაც არ შეიძლება. ხშირად თავის გამართლებას უფრო წარმოადგენს იმის თქმა, რომ ყველა ოპოზიციონერი ერთნაირია. ასე ნამდვილად არ არის.

პრობლემა ნამდვილად არის ოპოზიციონერთა 80%-ში. მეც ვხედავ, რომ დღეს ოპოზიცია სახარბიელოდ ნამდვილად არ გამოიყურება. თუნდაც მისი არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო. თუნდაც იმის გამო, რომ ვერ მიაღწია ერთიანობას პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხზე, მაგრამ თუ ყველას ერთ ქვაბში მოგვხარშავენ, მივიღებთ იმ რეალობას, რომელიც დღეს ყველაზე მეტად აწყობს ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“.

***– რას გულისხმობთ?***

– მიშასთან ერთად ერთ ქვაბში მოხარშვას, რომელიც ნამდვილად არ არის სამართლიანი. ეს სინამდვილეში წარმოადგენს ივანიშვილის პროპაგანდისტულ თამაშში ჩართვას. სწორედ ამ პროპაგანდის ხარჯზე ინარჩუნებს ივანიშვილი ცხრა წლის მანძილზე ძალაუფლებას.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ბელადომანიისკენ აქვს მიდრეკილება. ზოგი ახალ ბელადს ეძებს, ზოგიც ძველს მისტირის. რეალურად კი გამოსავალი არის სწორ არჩევანში. სწორი არჩევანი კი იმაშია, რომ ამომრჩეველმა პოლიტიკოსები ერთმანეთისაგან უნდა განასხვავონ მისი წარსულის, კვალიფიკაციის მიხედვით. ასევე, ამომრჩეველმა უნდა გააცნობიეროს, რომ მსხვილი პარტიების არჩევა საფრთხის შემცველია ძალაუფლების უზურპაციის კუთხით. რომ კვლავ არ განმეორდეს იგივე მექანიკური ცვლილება – ერთი უზურპატორის მეორეთი ჩანაცვლება.

***– ადამიანებს არჩევანი აქვთ?***

– რეალურად არჩევანი არსებობს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან ბევრი წვრილი პარტია არსებობს, რომელიც ადამიანსა და მის პრობლემაზეა ორიენტირებული. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ბრძოლით დაგვიმტკიცებია, რომ არც სკამზე და არც ფულზე ვიყიდებით. მე 20 წელია ქუჩაში ვიბრძვი მოქალაქეების გვერდით. ორივე რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე რეჟიმმა, სააკაშვილმაც და ივანიშვილმაც, ორჯერ შემომთავაზა მინისტრის მოადგილეობა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ჩემთვის პრინციპები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი კეთილდღეობა. ვთვლი, რომ ამ ყველაფრის არ დანახვა არ არის სწორი. მეტი აქტიურობა გვჭირდება. ბოლოს და ბოლოს თუ პოლიტიკოსებს არ ენდობიან, შეუძლიათ თვითორგანიზება მოახდინონ გარკვეული ჯგუფებსა და ახალი პარტიები გაჩნდეს, მაგრამ პოლიტიკოსების გვერდით გაწევა აწყობს დღეს მხოლოდ ხელისუფლებას.

მთავარი ამოცანა უნდა იყოს ვადამდელი არჩევნები პროპორციული და დაბალი საარჩევნო ბარიერით. ხელისუფლება უნდა გახდეს იძულებული, რომ ვადამდელი არჩევნები თავად დანიშნოს.

# „გახარიამ ცხვირწინ ააცალა „ქართულ ოცნებას“ სამი საკრებულო“

## „ოპოზიცია მკვდარია და არ გაცოცხლდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ბოლო პერიოდია, ხელისუფლებასთან ერთად სულ უფრო ხშირად გვესმის ოპოზიციის ლანძღვაც, პირად ინტერესებს გადააყოლეს ყველაფერიო. რას იტყვით თქვენ?***

– ვინც დღეს ოპოზიციას აკრიტიკებს, ის ან ხელისუფლების დავალებით აკეთებს ამას, ან უნებლიეთ ხელისუფლებას ემსახურება. იმიტომ, რომ თუ ვინმე რამეს უნდა აკეთებდეს, ეს არის ხელისუფლება. მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ ძალას შეუძლია, ქვეყანა ააშენოს, ან დააქციოს და არა ოპოზიციას. ოპოზიცია ვერც ვერაფერს ააშენებს და ვერც ვერაფერს ვერ დააქცევს თავის თავის გარდა.

***– საზოგადოებას რომ ოპოზიციაც აღარ მოსწონს, ეს ბოლო კვლევებმაც კარგად აჩვენა. ძალიან მაღალი პროცენტია, რომელსაც არც ერთი არ უნდა.***

– დიახ, გეთანხმებით. ეს გასაგებია, მაგრამ ეს არის ოპოზიციის პრობლემა, ეს არ არის სახელმწიფოს პრობლემა. სახელმწიფოს პრობლემაა, ხელისუფლება და არა ოპოზიცია. თუ ოპოზიცია არ ვარგა, თავის თავს ავნებს. გასაგებია, რომ ოპოზიციამ ვერ გაამართლა, მაგრამ საზოგადოებამ გაცილებით მეტი უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას. აუცილებელი არაა მხოლოდ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით გამოხვიდე ქუჩაში. უნდა გამოხვიდე სოციალური პრობლემების გამოც, მცირე ხელფასებისა და მაღალი ფასების გამო. ვინმე გამოვიდა, გააპროტესტა ტრანსპორტის გაძვირება?! ბევრს ლაპარაკობენ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ ქუჩაში არავინ გამოსულა ამის გასაპროტესტებლად. თუ რაღაც არ მოგწონს ხელისუფლებაში, მიზეზები ოპოზიციაში კი არ უნდა ეძებო, ხელისუფლება უნდა შეაწუხო. ოპოზიცია არ ამართლებს მოლოდინს და ჯანდაბამდე გზა ჰქონია! რამდენი უნდა ვილაპარაკოთ არარსებულ ოპოზიციაზე! როდემდე ვილაპარაკოთ მკვდარზე?! ხომ ვხედავთ, რომ ოპოზიცია მკვდარია და არ ცოცხლდება. მე, პირადად, როგორც მოქალაქემ, დიდი ხანია ანგარიში გავუსწორე ნაცმოძრაობას და 2012 წელს გავისტუმრე, მას შემდეგ აღარ მაინტერესებს. დღეს სიტუაციის გამოსწორებაც და გაუარესებაც მხოლოდ „ოცნებას“ შეუძლია.

***– რას აკეთებს დღეს „ქართული ოცნება“, რა პოლიტიკა აქვს არჩეული?***

– საქმეც ისაა, რომ არაფერსაც არ აკეთებს. დღეს იმ თვითმფრინავს ვგავართ, რომელიც ჰაერშია, საწვავი უთავდება და არ იცის, სად მიფრინავს. მე შემიძლია ჩამოვაყალიბო ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიზნები და ამოცანები, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, რუსეთის. შემიძლია ამაზე საათობით ვისაუბრო, მაგრამ მე არ ვიცი, საქართველოს რა უნდა, საითკენ მიდის. საერთოდ არ ვიცი, რას აკეთებს. დღეს ჩვენ უბრალოდ დინებას მივყვებით. ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს მოვიშველიებ, ველზე გაშვებული საქონელი ვართ, რომლის მიზანია იბალახოს და სხვა არაფერი აინტერესებს. არაფრის ამოცანები ჩვენ არ გაგვაჩნია, დემოკრატიისკენ ჩვენ არ მივდივართ, შარლ მიშელის ხელშეკრულება გააუქმა „ქართულმა ოცნებამ“, გადააგდო ქართველი ხალხი პროპორციულ სისტემაზე, სასამართლო სისტემა მოირგო თავის თავზე, სახელმწიფო ინსპექტორი გააუქმა, მოკლედ, დემოკრატიისკენ ნამდვილად არ მივდივართ.



**„ივანიშვილიც ისე დაამთავრებს, როგორც ნაზარბაევმა დაამთავრა. მან შიგნიდან ააორთქლა, ამოწვა, ამოშანთა თავის გუნდში არსებული დემოკრატიის ნიშნები, შერჩა მხოლოდ მედროვეები“**

***– ავტორიტარიზმისკენ მივდივართ?***

– არც ავტორიტარიზმისკენ მივდივართ. არ იქმნება ავტორიტარული კოალიციები, ივანიშვილის შვილები არ აპირებენ პოლიტიკაში ყოფნას, წასულები არიან საქართველოდან და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. დასავლეთისკენ არ მივდივართ. რუსეთისკენ მივდივართ? არც ეს ჩანს, რომ რუსეთისკენ მივდიოდეთ. არსად არ მივდივართ. ჰაერში ვართ გამოკიდებული. ქვეყანაში არ არის დემოკრატიის ნიშნები, ივანიშვილი დამალულია, მას არა აქვს ავტორიტარიზმის სურვილი, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მართოს ქვეყანა. ამიტომ ვართ ასე ჰაერში გამოკიდებული. დღეს ყველას ამოცანაა, მთელი სახელმწიფო სტრუქტურების, რომ შეუქმნან კომფორტული გარემო და 2024 წლამდე იარსებოს „ქართულმა ოცნებამ“.

***– 2024 წლის მერე რა იქნება?***

– 2024 წლის შემდეგ იქნება 2028 წელი, მერე 2032 წელი იქნება.

***– და ეს პერიოდი სულ ივანიშვილი და „ოცნება“ იქნება?***

– საქართველოში უკვე ნაზარბაევიზაცია მოხდა. ანუ, ვიდრე ერთი ადამიანი ცოცხალია, სანამ ის არ დაბერდება, ანუ ის არ დაემართება, რაც დაემართა შევარდნაძეს, ან თუნდაც ნაზარბაევს. რაც ნაზარბაევს მოუვიდა, სწორედ ის მოუვა ივანიშვილს. როდესაც გარემოცვაც დაინახავს, რომ ის დაბერდა, აი მაშინ დაიწყებენ ჩარევას. თუ 15 წლის განმავლობაში არჩევნებით არ შეიცვალა „ოცნება“, მანამდე შეიცვლებიან კობახიძეები, მდინარაძეები, მურუსიძეები, მაგრამ ახალი მდინარაძეები და ახალი კობახიძეები გამოჩნდებიან, მაგრამ ამ ოპოზიციის შემხედვარე და საზოგადოების პასიურობის გამო, ხელისუფლებაში ისევ „ოცნება“ იქნება. თუმცა გავა წლები და ივანიშვილიც ისე დაამთავრებს, როგორც ნაზარბაევმა დაამთავრა. რატომ აკეთებს ამას ივანიშვილი, რისი იმედი აქვს, არ ვიცი. მე მაინც მგონია, რომ მას აქვს ორი ამოცანა.

***– რა ამოცანა?***

– ერთი, კომფორტულად მოერგოს ქვეყანას და მეორე, დემოკრატია არ შესთავაზოს სახელმწიფოს. აქ იბადება კითხვა – რატომ? მას შეეძლო დემოკრატიულ ქვეყნებთან ეთანამშრომლა, ყველა დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებდა მასთან, მაგრამ მე მაინც რუსული პროექტი მგონია ის. რუსული პროექტი არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც რუსეთისკენ მივდივართ, რუსეთისკენ ვერ წავალთ, იმიტომ, რომ ეს ხალხისთვის მიუღებელია. რუსეთის დღევანდელი მიზანი და მოთხოვნაა, რომ საქართველო არსად არ უნდა მიდიოდეს. ჩემსკენ არ მოდიხარ, ჯანდაბამდე გზა გქონია, მაგრამ არც ევროპაში უნდა წახვიდე, არც ნატოში! ანუ რუსეთის ძირითადი ამოცანაა, მისკენ მიიზიდოს ხალხები, მაგრამ როცა ვერ იზიდავს, მაშინ სხვაგანაც არ უნდა მიდიოდეს. თუ ჩემი არაა, მაშინ არავისი არ უნდა იყოს. ეჭვიანი ქმრები რომ არიან, ძალიან საზიზღარი ადამიანები, ყოფილ ცოლებს რომ ხოცავენ. თუ ჩემი არაა, მაშინ არავისი არ უნდა იყოს. ასეა რუსეთი.

***– ეჭვიანი ქმრის როლშია რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში?***

– ყოფილი ეჭვიანი ქმარი. აი ასეთი აზროვნება აქვს დღეს რუსეთს, თუ ჩემი არა ხარ, არავისი არ იქნები! და აი სწორედ ამ ამოცანას ასრულებს დღეს ივანიშვილი. ჯერ გაანადგურა თავისი მოკავშირეები კოალიციაში, შიგნიდან ააორთქლა, ამოწვა, ამოშანთა თავის გუნდში არსებული დემოკრატიის ნიშნები, ჩუგოშვილები, ბესელია, ყველა გამოყარა. შერჩა მხოლოდ მედროვეები, ივანიშვილმა კარგად გამოიყვანა გუნდში პოლიტიკოსების მჭამელი პოლიტიკოსები, კობახიძეების და მდინარაძეების სახით. მაინც ისე მიდის სიტუაცია, რომ სწორედ ამ მმართველი ძალიდან, შიგნიდან ამოიზრდება ახალი პოლიტიკური ძალა. ისე, როგორც შევარდნაძის დროს მოხდა, მისი გუნდის შიგნით ამოიზარდა სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე. „ქართულ ოცნებაშიც“ არის ასე რაღაც ძალები, ვინც შეიძლება რომ ამოიზარდოს.

***– ვის ხედავთ ასეთ ძალად?***

– ერთი, ეს არის გახარია, რომელიც წამოვიდა და ცდილობს, იყოს ყველასგან დისტანცირებული და ახლა საკმაოდ ეფექტურად მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობებზე.

***– ეფექტურად მუშაობსო, ამბობთ და ბევრი ფიქრობს, რომ გახარია ჩაიძირა და გადის პოლიტიკიდანო, ასე არ ფიქრობთ?***

– სამი საკრებულო წაართვეს „ქართულ ოცნებას“ და როგორ არ მუშაობს?! რომ არა გახარია, ეს ვერ მოხდებოდა. ცხვირწინ აацალეს „ქართულ ოცნებას“ საკრებულოები.

***– ჩუმად მუშაობს, უხმაუროდ?***

– ჯობია ლაპარაკობდეს, გახარია გამოდიოდეს და ხსნიდეს, რატომ აკეთებს ამას, რადგან ძალიან ცუდად მუშაობს „ოცნების“ პიარი მის წინააღმდეგ. გახარია ცდილობს ქვეყანაში დემოკრატიის ნიშნები შეინარჩუნოს, ეს კარგია, მაგრამ ამაზე ხმამაღლა უნდა ილაპარაკოს.

***– ფიქრობთ, რომ გახარია გააქტიურდება?***

– წესით, უნდა გააქტიურდეს. მეორე ძალა „ქართულ ოცნებაში“, ეს არის კალაძე. თუ კალაძე და გახარია იპოვიან საერთო ენას არჩევნების წინ, მაშინ შეიქმნება ახალი შანსი ამ სიტუაციიდან გამოსვლისა. თუ ქვეყანაზე ფიქრობენ, ასე უნდა მოიქცნენ.

***– თუ სიტუაცია შეიქმნება, კალაძე წამოვა „ოცნებიდან“?***

– კალაძე ზომიერია და გონივრულად იქცევა. მას გუნდი ყავს ძლიერი. უნდა გაერთიანდნენ, ცალ-ცალკე ვერაფერს ვერ შეძლებენ. თუ გახარია და კალაძე 2023 წლის ბოლოსთვის მოახერხებენ საერთო ერთობა გამოადნონ, თუ გადალახავენ კომპლექსებს და გაერთიანდებიან, ეს ძალიან კარგი იქნება. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ასე უნდა მოიქცნენ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას ახალი რეალობა.

# „2008 წლის ომის შედეგად, რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბაზა აღადგინა“

გულიკო ბალაძე



## გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთი დარწმუნდა, რომ უკრაინაში რაღაც მაიმუნობას რომ დაიწყებდა, ამერიკა არ ჩაერეოდა“

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.**

***— ბატონო გიორგი, ახლახან ჩინეთმა რუსეთთან ერთად განაცხადა, რომ ის აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებას ეწინააღმდეგება. ეს ძირითადად უკრაინასთან დაკავშირებით განაცხადეს, მაგრამ საქართველოსაც ეხება. თქვენ როგორ აფასებთ ამ განცხადებას იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა?***

— ჩინეთისგან ეს განცხადება არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან ჩინეთი, რუსეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა გაერთიანებულია შანხაის ე.წ. ორგანიზაციაში. შანხაის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია საკმაოდ მსხვილი ორგანიზაციაა, რომელიც ნატოს ალტერნატივას წარმოადგენს. ამიტომ ეს განცხადება არის ორი გაერთიანების — შანხაის ორგანიზაციისა და ნატოს დაპირისპირება.

რუსეთს, რომელმაც უკრაინის საზღვართან პროვოკაცია წამოიწყო, დასავლეთმა იმდენად დაახევინა უკან, იძულებული გახდა, ჩინეთში გაქცეულიყო და იქ მხარდაჭერა ეძებნა, ანუ პუტინმა ამ ეტაპზე მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით გამოუვიდა.

***— როგორ?***

— ნატოს, აშშ-ის, ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპაში იზრდება და კიდევ უფრო გაიზრდება, ანუ ნატოს ფლანგი აღმოსავლეთით და სამხრეთით უფრო გაძლიერდა. ეს მიიღო პუტინმა ამ თავისი მაიმუნობებით.

პუტინს სულ სხვა რამ ჰქონდა დაგეგმილი. ნატოსთვის მოწოდება სუფთა პროვოკაცია იყო. ნატოს რომ ეტყვი (ამხელა სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას), მოვითხოვ, აღარ გაფართოვდეო, სისულელე არ არის? ვინ დაიჯერებს, რომ პუტინმა არ იცოდა, ასეთი მოთხოვნა თავისი შინაარსით სისულელე იყო. ამაზე ნატო, ცხადია, არ დათანხმდებოდა. როგორც ჩანს, მოქმედება სხვა მიზნით წამოიწყო.

უკრაინის, მოლდავეთისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი პერსპექტივის საკითხია. ახლო მომავლის საკითხი არ არის. ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები რომ არ იყოს, საქართველოსთვის უახლოესი პერსპექტივა იქნებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, 2008 წლის ომის შედეგად, რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბაზა აღადგინა. 1999 წლის სტამბულის სამიტისა და ეუთოს გადაწყვეტილებით, საქართველოდან რუსეთმა სამხედრო ბაზები გაიყვანა, სააკაშვილმა კი — შემოაყვანინა.

ნატოს წესდების მიხედვით, ალიანსს ძალიან გაუჭირდება იმ ქვეყნის თავის რიგებში მიღება, სადაც სხვისი სამხედრო ბაზებია განთავსებული, თან დაპირისპირებული მხარის. ამიტომ სააკაშვილმა რუსეთს ეს გაუკეთა. ასეთივე მდგომარეობაა მოლდავეთში დნესტრისპირეთის გამო, უკრაინაში — ყირიმის ანექსიის შედეგად.

ნატოს გაფართოების თეზისის საწინააღმდეგო მოთხოვნა რუსეთის მხრიდან სრულიად სპეკულაციური იყო, აფიორა, სულ სხვა მიზნების მისაღწევად.

***— რუსეთს რა მიზანი ჰქონდა?***

— პროცესი ისე განვითარდა, რუსეთმა აშშ-სთან მოინდომა ურთიერთობა. ევროკავშირი აშშ-მა და რუსეთმა მოლაპარაკების პროცესიდან საერთოდ ამოაგდეს. ამაზე მკაცრი განცხადება გააკეთა ევროკომისიამ, სადაც თქვა, რომ უკრაინა ევროკავშირის პერსპექტიული წევრი, ევროპის ქვეყანაა და ამ პროცესში ჩვენ რატომ არ ვმონაწილეობთო. ამით უნდა მივხვდეთ, რომ რაღაც ხდება.

***— რა?***

— ანუ კონფლიქტი ისეთ საკითხთანაა დაკავშირებული, რომელიც ამერიკის გადასაწყვეტია, რასაც რუსეთი ფარულად ითხოვს.

***— ბრიტანეთმაც დაიწყო დამოუკიდებლად თამაში უკრაინასთან დაკავშირებით. ჯონსონმა უკრაინასთან ერთად კავშირი შექმნა.***

— ბრიტანეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ნატოს ფარგლებში იმოქმედებს ისევე, როგორც თურქეთი. უკრაინას თურქეთმაც მხარი დაუჭირა მიუხედავად იმისა, რუსეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

***— ამ პროვოკაციის უკან რა მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეს რუსეთს?***

— რუსეთს აქვს რამდენიმე პრობლემა. მას აშშ-მა შეუჩერა ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის ექსპლოატაციაში შესვლა. ეს მნიშვნელოვანი მილსადენია, რომელიც ბალტიის ზღვის გავლით გერმანიაში უნდა შესულიყო. გერმანია თანახმა იყო, მაგრამ აშშ-ის ზეწოლით ეს პროცესი შეჩერებულია. მილი აშენებულია. უზარმაზარი მილია. 55 მილიარდმა კუბ.მეტრმა გაზმა უნდა გაიაროს.

***— უზარმაზარი თანხაც იქნება დახარჯული.***

— თანხაც დახარჯულია. რუსეთის ეკონომიკისათვის ეს არის გადარჩენა. აშშ-მა ამ გაზსადენის ამოქმედება შეუჩერა. სანქციები შემოიღო ფირმებისთვის, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობდნენ.

ასევე, ყირიმის ანექსიის შემდეგ, ნატომ დაიწყო ძალიან სერიოზული გაძლიერება შავი ზღვის აკვატორიაში. სისტემატურად შემოდიან გემები. ნატომ აქ საკმაოდ სერიოზული პოტენციალი დააგროვა, რაც რუსეთისთვის სერიოზული პრობლემაა, რაც აშშ-ის უშუალო ხელმძღვანელობით ხდება.

შეიძლება რუსეთს ამ ორი საკითხის გადაჭრა უნდა და ნატოს არგაფართოების საკითხი მოიგონა. საპასუხოდ შედეგი, პირიქით მიიღო, ნატოს სამხედრო წარმომადგენლობის საზღვარიც გაიზარდა და აღმოსავლეთ ფლანგზეც ჯარის ნაწილები დღესაც შედის. უკრაინამ უზარმაზარი სამხედრო დახმარება მიიღო.

გარდა იმისა, რომ რუსეთს გაზსადენის პრობლემა აქვს, რუსეთის ბიუჯეტი ენერგორესურსების ექსპორტის შემოსავლებისაგან შედგება. ნახევარი რუსეთი ისედაც შიმშილით იხოცება და კიდევ მეტი კრიზისი, წარმოიდგინეთ, რა შეიძლება იყოს. ამის იმედი აქვთ.

რუსეთის „გაზპრომს“ ევროპაში ისედაც სერიოზული გავლენა აქვს, რადგან ქვეყნების ძალიან დიდი ნაწილი (მათ შორის, ნატოს წევრი ქვეყნებიც) „გაზპრომით“ მარაგდება. მაგალითად, ლიტვა 45%-ით გაზპრომით მარაგდება, ლატვია — 76%-ით, ესტონეთი — 40%-ით, ავსტრია — 70%-ით, ფინეთი — 100%-ით. გერმანია — 50%-ზე მეტით და ა.შ.

ამას ჩრდილოეთ ნაკადი-2 რომ დაემატებოდა, ბუნებრივია, რუსეთის გავლენაც გაიზრდებოდა. გავლენას რომ გაზრდის, არავითარი ამერიკა არ დასჭირდება. ამ ქვეყნების მეშვეობით ბლოკავდა რუსეთი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ინიციატივებს ნატოსთან დაკავშირებით. საერთოდ, ახლა ევროკავშირის ტერიტორიის მომარაგებაში რუსულ გაზს 40% უჭირავს.

***— ანუ რუსეთს უკრაინაში შეჭრა არ ჰქონდა და არ აქვს განზრახული?***

— შეიძლება ასეთ რეაქციას არ ელოდებოდა. არსებობს მილიონი მექანიზმი, როგორ შეიძლება მეორე ქვეყანა შეცდომაში შეიყვანოს. შეიძლება, რაღაც ფარული მონაცემებით, რუსეთი დარწმუნდა, რომ უკრაინაში, რაღაც მაიმუნობას რომ დაიწყებდა, ამერიკა არ ჩაერეოდა. ასეთი შემთხვევები გლობალურ პოლიტიკაში ხდება ხოლმე.

***— ამ ფონზე, როდესაც პუტინი სამხედრო მანევრებს მიმართავს, უკრაინის მისამართით იმუქრება და დასავლეთს ეპაექრება, მისმა რეიტინგმა 69%-მდე აიწია. ეს რას შეიძლება მივაწეროთ? რუსულ საზოგადოებაში უკრაინის ოკუპაციის განწყობაა?***

— არ ვიცი, ახლა პუტინს როგორი რეიტინგი აქვს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ის ფიასკოს განიცდის, თუ რამე რეიტინგი აქვს, აუცილებლად განულდება, რადგან მას სერიოზული უკანდახევა მოუწევს. თუ რამეს გაბედავს, აშშ და ევროკავშირი ისეთი ტიპის სანქციებით იმუქრება, რუსეთისაგან აღარაფერი დარჩება. ეს არის საბანკო სისტემები, ფულადი გზავნილები და სხვადასხვა რამ. მთელი სისტემაა იმისა, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთს მსოფლიო ეკონომიკური სისტემიდან ამოაგდებს, რაც მისი გაკოტრებით დასრულდება. გაკოტრება კიდევ რუსეთის დაშლით დასრულდება.

***— ითქვა, რომ წინა სანქციების დროს რუსეთმა მოახერხა, ძალების მობილიზება და დიდი ზიანი არ მიუღია. ახლა პუტინს ბაიდენი დამანგრეველი სანქციებით ემუქრება.***

— რადგან ამბობენ, რომ სერიოზული სანქციები იქნება, გამკეთებლებიც არიან იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა გაბედა და უკრაინაში შეიჭრა. უკრაინა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ადგილია ევროკავშირში, თან უზარმაზარი ქვეყანაა, საქართველოსავით პატარა არ არის და ბრძოლისუნარიანია. თუ უკრაინას იარაღს მიაწვდი, ძალიან სერიოზულად იომებს.

— მიაწოდეს კიდეც, იარაღი ყოველდღე შედის.

***— მიაწოდეს ისეთი იარაღი, რომელიც რუსეთს არ გააჩნია. რუსეთში ეკონომიკური სანქციები რუსეთის განვითარების საწინააღმდეგოდ იყო. მაგალითად, თანამედროვე შეიარაღების ტექნოლოგიების შეზღუდვა, წიაღისეულის მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიების შეზღუდვა და პიროვნული სანქციები დაუწესეს.***

— ახლა პირდებიან, რომ დამანგრეველ სანქციებს დაუწესებენ.

***— დამანგრეველი ნიშნავს, რომ პირდაპირ ეკონომიკას დაარტყამს. თუმცა, აქამდე დაწესებულმა სანქციებმაც რუსეთს ავნო. რუსეთი გაჭირვებული ქვეყანაა. მოსკოვსა და პეტერბურგს ნუ უყურებენ. რეგიონებში გაჭირვებაა. შარშან პენსიების გადახდის პრობლემა ჰქონდათ.***

— პუტინს ატომური იარაღის იმედი აქვს.

— ეს მისი ყველაზე სერიოზული კოზირია. მას მეტი არაფერი გააჩნია. აშშ-ის ეკონომიკა 21 ტრილიონია, რუსეთისა კი — ტრილიონნახევარი. ამას ნატოს წევრი ქვეყნების დაამატე, რამხელა პოტენციალია. სამხედრო ბიუჯეტი მხოლოდ აშშ-ს რუსეთზე ათჯერ მეტი აქვს. ანუ პოტენციალი იმხელაა, თუ რუსეთი წამოიწყებს რაღაცას, ისეთ სერიოზულ დარტყმას მიიღებს, საკუთარ ქვეყანას გაანადგურებს. საერთოდ, დიდი ხანია პუტინი საკუთარ ქვეყანას ანადგურებს. რუსეთს სერიოზული შანსი ჰქონდა, დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო და თავის მეზობლებს არ გადაკიდებოდა.

საერთოდ, ყირიმის ანექსიის საკითხი ჩვენს კორიდორთანაა დაკავშირებული. რუსეთს ყირიმში უზარმაზარი სამხედრო-საზღვაო ბაზა აქვს, მაგრამ არა მგონია, მის შენარჩუნებაზე ეფიქრა, რადგან უკრაინასთან 2044 წლამდე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული.

არსებობს პროექტი „თეთრი ნაკადი“, ცოცხალი პროექტია. თურქმენეთიდან გაზი უნდა წამოსულიყო კასპიის ზღვის გავლით, აზერბაიჯანი-საქართველო-შავი ზღვით ერთი ნაწილი უნდა შესულიყო ყირიმში, ანუ უკრაინაში, მეორე ნაწილი — რუმინეთში. ეს იყო უზარმაზარი პროექტი, 35 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს უნდა გაევლო, რაც რუსეთისთვის კატასტროფული შედეგების მქონე იყო.

ახალი, უზარმაზარი, დამოუკიდებელი ნაკადი მიდიოდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით უკრაინაში. ეს რომ არ დაეშვა, მოახდინა ყირიმის ანექსია და ეს ტერიტორია რუსეთის საკუთრებად გამოაცხადა. ზღვისპირა ქვეყნებს აქვთ თავისი განსაკუთრებული ზონა ზღვაში. ყირიმის ანექსიით რუსეთმა გამოაცხადა, რომ ყირიმის აკვატორიის ეკონომიკური ზონა მისი იყო. ეს იმდენად ვიწრო ადგილია, ნეიტრალური ზონა აღარ დარჩა, რომ იქ მილსადენი გატარებულიყო. მაშინ რუსეთს უნდა შეეუთანხმო. რუსეთს როგორ შეუთანხმებ, როცა ყირიმის ანექსიას არ აღიარებ. ამით ეს პროექტი ჩაიშალა, მაგრამ ახლა მგონი გააცოცხლეს.

# მიუერთდება თუ არა თბილისი კიევი-ლონდონი-ვარშავის ალიანსს?

## უკრაინის საგარეო მინისტრი: „ევროკავშირსა და ნატოში შესვლას ვერ დაველოდებით“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ისევ აქტიურად მსჯელობენ საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების მოულოდნელ, ნაჩქარევად გამართულ საუბარზე თბილისის აეროპორტში. ანჯეი დუდა იქ გავლით იმყოფებოდა და სალომე ზურაბიშვილს ესაუბრა.

შეხვედრა შედგა დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის უკიდურესად ზრდისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრის დაანონსების ფონზე.

„ახალი თაობა“ ერთი თვის წინ წერდა იმის შესახებ, რომ იქმნება ახალი ალიანსი უკრაინას, დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთს შორის. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ახალ ალიანსთან საქართველოს მიერთებაზე ისაუბრეს. საჯარო განცხადებებში პრეზიდენტმა დუდამ აღნიშნა საქართველოსთან ერთობლივად მოქმედების აუცილებლობა, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა კი დაგმო რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ.

კიევი-ლონდონი-ვარშავის ღერძი თებერვლის პირველ რიცხვებში უნდა გაფორმებულიყო. პროცესი ცოტა ხნით გადაიდო იმის გამო, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ელიზაბეტ ტრასს კორონავირუსი შეეყარა.

ახალი ღერძის ინიციატივა ლონდონიდანაც წამოვიდა, უკრაინაში კი ამგვარი იდეა დიდი ხანია არსებობს.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი კულება ახლებური პარტნიორობის საჭიროებას ასე განმარტავს:

— უკრაინა ვერ დაელოდება ევროკავშირსა და ნატოში შესვლას. ამიტომ ამ მომენტში დგება მცირე ალიანსების შექმნის აუცილებლობა პროაქტიური საგარეო პოლიტიკით.



მისი თქმით, მეგობრული ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირება დაწყებულია. ვარშავა, კიევი და ლონდონი რეალისტურად უდგებიან ევროპის უსაფრთხოებას და რუსეთისთვის წინააღმდეგობის შესაძლო გაწევას. მათ შეუძლიათ იყვნენ საიმედო პარტნიორები ვაჭრობაში, ასევე ინვესტიციებსა და ენერგეტიკაში.

ახალ ალიანსს ყველა სახელმწიფო არ გამოხმაურებია. ზოგმა კომენტატორმა ახალი ღერძი ნატოს შეადარა, ზოგმა მას ახალი ევროკავშირი უწოდა. ითქვა, რომ ახალ პარტნიორობას ხელს უწყობენ აშშ და კანადა.

უკრაინის საგარეო მინისტრის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ახალი კავშირი სამი წევრით არ შემოიფარგლება.

თუ საქართველო ამ სამი ქვეყნის პარტნიორია და დასავლეთთან ყოფნა გულწრფელად სურს, წესით, ამ ალიანსს ზურგი არ უნდა აქციოს.

ამ კვირაში პოლონეთი დაიწყებს უკრაინისათვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდებას. პოლონელი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები მწვავედ აკრიტიკებენ გერმანიის პოზიციას უკრაინის მიმართ. გერმანიამ განაცხადა, რომ უკრაინას ლეტალურ იარაღს არ მიაწვდის.

უკრაინა გერმანიიდან სამხედრო დახმარების იმედს არ კარგავს. გერმანიის თავდაცვის უწყებას კიევიდან წერილობით მიეწოდა სამხედრო ტექნიკისა და იარაღის ნუსხა, რომელიც ესაჭიროება უკრაინას რუსეთისგან თავის დასაცავად.

ზოგადად დასავლეთის, ამ შემთხვევაში კი პოლონეთის ბოლოდროინდელმა აქტიურობამ კრემლი ააფორიაქა. კრემლი შეუდგა ანტიპოლონურ პროპაგანდას. ინერგება აზრი, რომ პოლონეთს უკრაინის ტერიტორიების მიტაცება უნდა.

იმ დროს, როცა რუსეთს ასიათასიანი ჯარი ჰყავს დაყენებული უკრაინის საზღვართან, ასევე ბელარუსში, რუსი ანალიტიკოსები აანონსებენ ომის დაწყებას უკრაინის მხრიდან და სარგებელს, რომელსაც ამით თითქოსდა პოლონეთი ნახავს.

ანალიტიკოს ბელიაკოვის თქმით, ომის შედეგად უკრაინის საზღვრები შეიცვლება. უკრაინის ტერიტორია დარჩება დონბასის მიმდებარედ. მისი თქმით, თუ უკრაინა ომში ჩაება, მას მეზობელი სახელმწიფოები „დაეხმარებიან“. ამ სახელმწიფოთა სიაში, კრემლის ანალიტიკოსის აზრით, პირველი პოლონეთია, რომელიც წაიღებს უკრაინის ტერიტორიის ნაწილს და რესურსებს.

კრემლის პროპაგანდისტების განცხადებები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მას საქართველოშიც აქტიურად იმეორებენ.



## კელი დეგნანი: „რუსეთს სურს, შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და ყველაფერი აკონტროლოს“

რუსეთს სურს, შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და აკონტროლოს ყველაფერი, რაც შედის და გადის შავ ზღვაში, — ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, კელი დეგნანმა, „ტვ პირველის“ ეთერში, გადაცემაში „ხედვა ვაშინგტონიდან“ განაცხადა.

როგორც ელჩი განმარტავს, საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს იმისთვის, რომ შავი ზღვა საერთაშორისო ზღვად დარჩეს.

— საქართველოს მნიშვნელოვანი სამართალდამცავი როლიც აქვს ფართო უსაფრთხოების როლთან ერთად. რუსეთს სურს შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და აკონტროლოს ყველაფერი, რაც შედის და გადის. საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს იმისთვის, რომ შავი ზღვა საერთაშორისო ზღვად დარჩეს, რომელიც ყველა ჩვენი ქვეყნის გემისთვის იქნება გახსნილი, — აღნიშნავს კელი დეგნანი.

# თბილისსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთში, სხვადასხვა დროს 3 პირი დააკავეს, რომელთა პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა თბილისში, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, „EKOL“-ის ფირმის, კუსტარულად გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი და ასევე კუსტარულად გადაკეთებული 6 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1968 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.შ.-ის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 2 ვაზნა, გადაჭრილი ორლულიანი თოფი, ე.წ. ბარაბნიანი პისტოლეტი და სანადირო თოფის ორი მასრა. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.



იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული ხ.ბ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ხონში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „მაკაროვი-პმ“-ის მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და 13 საბრძოლო ვაზნა.

აღნიშნული დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

# „ხაშურში 50 წლამდე მამაკაცს ყელი გამოჭრეს, დედამისი კი საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ნახეს“

ხაშურში 50 წლამდე მამაკაცს ყელი გამოჭრეს, მოგვიანებით კი დედამისი საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ნახეს. გარდაცვლილები შშმ პირები არიან.

შემთხვევა სამი დღის წინ მოხდა, როდესაც დედამ, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შვილის, 50 წლის მურთაზ მაჩხაშვილის ყელგამოჭრილი ცხედარი აღმოაჩინა. მომხდართან დაკავშირებით მოხუცი ქალი პოლიციამ გამოჰკითხა. მოგვიანებით მეზობლებმა ქალის გარდაცვალების შესახებაც შეიტყვეს. ვენერა ღონღაძე ღამის 12 საათზე ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

პოლიციამ საქმე თვითმკვლელობის მუხლით დაიწყო, თუმცა მეზობლები ამტკიცებენ, რომ ვენერა ღონღაძე და მურთაზ მაჩხაშვილი მოკლულები არიან. მათ ეჭვები გარდაცვლილების მეზობელზე, ახალგაზრდა მამაკაცზე დაჩი ტაბატაძეზე აქვთ, რომელიც მიტოვებულ დედა-შვილზე სისტემატურად ძალადობდა.

ქალს, რომელმაც ხაშურში შშმ დედა-შვილზე ძალადობაში მათი მეზობელი დაჩი ტაბატაძე ამხილა, პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროებით ემუქრებიან.

მეყანწიშვილზე ზეწოლა „მთავარი არხის“ ეთერში მისი ინტერვიუს გასვლის შემდეგ დაიწყო. ის ყვებოდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედა-შვილზე ტაბატაძე სისტემატურად ძალადობდა, რის გამოც მათ სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულეს.

მარიამ მეყანწიშვილის თქმით, მას მუქარის შემცველ წერილებს დაჩი ტაბატაძის ოჯახის



წევრები უგზავნიან. ახალგაზრდა ქალი სამართალდამცველებისგან დახმარებას ითხოვს.

– ეს ადამიანი იყო პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსის ბიძაშვილი და გარდა ამისა, მის ცოლს ჩვენთან პირადი საუბრების დროს ჰქონდა ბევრჯერ ნათქვამია, რომ მათ მფარველობას და გარკვეულ დახმარებას უწევდა ვალერი გელაშვილის ძმა. გუშინ ვისაუბრე „მთავარ არხთან“ ამ ფაქტთან დაკავშირებით. მითხრეს, რომ გავჩუმებულიყავი, დედაჩემს მიწერეს, რომ გადმოეცა ჩემთვის, რადგან მე სოციალური ქსელები არ მაქვს და მუქარის შემცველი წერილები, რომ თუ არ გაჩერდება, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროება მოხდებაო, – ამბობს მარიამ მეყანწიშვილი.

„მთავარი არხი“ საკითხთან დაკავშირებით ვალერი გელაშვილს დაუკავშირდა, თუმცა ის ბრალდებებს უარყოფს.

გარდაცვლილები ნათესავებმა გუშინ დაკრძალეს.

# 112-ში, 24 საათის განმავლობაში, 35%-მდე არამიზნობრივი და საინფორმაციო ტიპის ზარი ფიქსირდება

## შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის განცხადება

საქართველოში კორონავირუსის შემთხვევის მატებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში მოსახლეობის მომართვიანობა გაზრდილია.

112 პანდემიის დაწყებიდანვე აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

112-ში, 24 საათის განმავლობაში, 35%-მდე არამიზნობრივი და საინფორმაციო ტიპის ზარი ფიქსირდება, რაც აფერხებს მუშაობის პროცესს.

გთხოვთ, გამოიჩინეთ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არამიზნობრივად არ დარეკოთ 112-ზე.

გადაუდებელი შემთხვევისას, შეუფერხებლად დაკავშირებისთვის 112 დაიყო სამ არხად:

112 – სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება
112 1 – პოლიცია და სახანძრო სამაშველო სამსახური
112 2 – კოვიდ-19

კოვიდ-19-ის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია დარეკოს 112-2-ზე ან დარეგისტრირდეს პორტალზე: https://er.moh.gov.ge/

112-ის მიერ, კოვიდ-19-ის დადასტურებული შემთხვევები შემდგომი მონიტორინგისთვის გადაეცემა ოჯახის ექიმებს.

თუ 48 საათის განმავლობაში არ დაგიკავშირდათ ოჯახის ექიმი, შეგიძლიათ დარეკოთ ცენტრალური ონლაინ კლინიკის ცხელ ხაზზე – 1522, ხოლო კერძო დაზღვევის შემთხვევაში, თქვენი სადაზღვევო კომპანიის ცხელ ხაზზე.

# სამლოცველოდან წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ფაჩუჩი დაიკარგა

ვარკეთილის ზემო პლატოს მე-10 კვარტალში მდებარე წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის სამლოცველოდან სიწმინდე მოიპარეს.

ინფორმაცია ეკლესიის Facebook გვერდზე გავრცელდა:

„მოხდა სამწუხარო ფაქტი!

ამა წლის 13 იანვარს, ვარკეთილის ზემო პლატოს მე-10 კვარტალში მდებარე წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის სამლოცველოდან დაიკარგა (მოიპარეს), თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი სიწმინდე, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ფაჩუჩი (რომელიც ფოტოზეა ასახული). შეშფოთებას გამოვთქვამთ ამ უდიდესი ბოროტების წინააღმდეგ!

გთხოვთ გააზიაროთ და ხმა მივაწვდინოთ იმ ადამიანს, რომელმაც ნებსით თუ უნებლიეთ ჩაიდინა ეს საქციელი და ვიმედოვნებთ, გამოიჩენს კეთილგონიერებას და დაგვიბრუნებს სიწმინდეს, რომელიც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია!“ – ნათქვამია განცხადებაში.

# „ვეღარ მოვითმინე, ამდენი წელია ტერორში ვარ“ — 82 წლის კაცმა ჩვენება მისცა

„ტვ პირველის“ გამომძიებელმა ჟურნალისტებმა გორის პოლიციის განყოფილებაში გაკეთებული ჩანაწერი მოიპოვა, სადაც პენსიონერი კარლო მეგრელიშვილი გამომძიებელს უხსნის, რატომ მოკლა 43 წლის ვაჟი.

მამის მტკიცებით, 43 წლის შვილი ყოველდღე აგინებდა ან ურტყამდა, ან ქუჩაში აგდებდა. პენსიონერი პოლიციელს უყვება, რომ საბედისწერო დღეს სახლში დაბრუნებულმა შვილმა ისევ გინება დაუწყო და მან დანა 30-ჯერ ჩაარტყა.

– კი, ვაღიარებ, აღარ შემეძლო მაგის ტერორი, – ყვება კაცი ჩვენებაში.

ფარულ ჩანაწერში, რომელიც პოლიციის განყოფილებაშია გაკეთებული, მოხუცი აღწერს, რომ მისი ვაჟი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული და ამის გამო წლების განმავლობაში ჯოჯოხეთში ცხოვრობდა. ირკვევა, რომ ხშირად, ზამთრის ყინვაში პენსიონერი ქუჩაში იყო. შვილი ღამეს სახლში არ ათენებინებდა.

აღიარებით ჩვენებაში 82 წლის პენსიონერმა შვილის მკვლელობა გამომძიებლებს დეტალურად აღუწერა. თქვა, რომ მას დაზიანება ჯერ ხორცის საჭრელი დანით ზურგში მოულოდნელად მიაყენა. დაჭრილი შვილი მამას წინააღმდეგობას უწევდა, თუმცა კარლო მეგრელიშვილმა მას ამ დროს კიდევ ერთი დანით ათობით ჭრილობა მიაყენა.

# პენსიონერების გაუპატიურებისთვის მსჯავრდებულმა და ამნისტიით გათავისუფლებულმა მამაკაცმა მასწავლებელი მოკლა

მამაკაცს, რომელიც პენსიონერების სერიული გაუპატიურებისთვის ორჯერ იყო ნასამართლევი, „ოცნების“ ამნისტიის შედეგად სასჯელი 6 წლით შეუმცირდა, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ კი დამსახურებული პედაგოგი მოკლა.

ირკვევა, რომ 64 წლის სკოლის მასწავლებელი საკუთარ დაბადების დღეზე, მიმდინარე წლის 29 იანვარს მოკლეს. ლეილა ბეგიაშვილის მკვლელობის მოტივი სავარაუდოდ სექსუალური ძალადობის მცდელობა გახდა. სასტიკ დანაშაულში ბრალდებული მისი კარის მეზობელია. 43 წლის მამუკა მოკვერაშვილი წლების განმავლობაში სასჯელს გაუპატიურების ბრალდებით იხდიდა და ციხე „ქართული ოცნების“ ამნისტიის გამო ვადაზე ადრე დატოვა.

პირველმა, ვინც მოკლული ლეილა ბეგიაშვილი იპოვა, მისი 89 წლის მეუღლე იყო. მეზობლისგან სახლში დაბრუნებულ პენსიონერ კაცს ცოლის ცხედარი პირდაპირ მისაღებ ოთახში დახვდა, ქალი სისხლისგან იყო დაცლილი. მას 20-მდე ჭრილობა აღენიშნებოდა.

მკვლელობაში ბრალდებული მამუკა მოკვერაშვილი ამ სოფელში პირველად სამი წლის წინ გამოჩნდა, მან მოკლული სკოლის მასწავლებლის გვერდით კერძო სახლი იყიდა და პერიოდულად იქ ღამის გასათევად რჩებოდა. მკვლელობის დღეს ის, სავარაუდოდ, მასწავლებელს უთვალთვალებდა, როდესაც ქალი მარტო დარჩა, მის საცხოვრებელ სახლში სათადარიგო კარიდან შევიდა.

საგამოძიებო უწყება ამტკიცებს, რომ ლეილა ბეგიაშვილის მკვლელობის მოტივი მეზობლებს შორის კონფლიქტი გახდა, თუმცა ამ ვერსიის ოჯახს არ სჯერა. მოკლული ქალის შვილი აცხადებს, რომ ბრალდებულთან კონფლიქტი არასდროს ჰქონიათ. ოჯახი კატეგორიულად გამორიცხავს ძარცვის მოტივსაც.

ერთ-ერთი ვერსიით, წარსულში გაუპატიურების ბრალდებით გასამართლებული მამუკა მოკვერაშვილი მასწავლებლის სახლში სექსუალური ძალადობის მიზნით შევიდა. 64 წლის პენსიონერმა მას წინააღმდეგობა გაუწია, ბრალდებულმა კი მისი გაგუდვა სცადა. ქალი თავდაცვას ცდილობდა, რა დროსაც ბრალდებულმა სამზარეულოს დანით მას ათობით ჭრილობა მიაყენა.

მამუკა მოკვერაშვილის პენსიონერზე ძალადობის ეს პირველი შემთხვევა არ არის.

43 წლის კაცი სასჯელს გაუპატიურების ბრალდებით 2-ჯერ იხდიდა, თუმცა ციხე ორჯერვე ვადაზე ადრე დატოვა.

პირველად მამუკა მოკვერაშვილის მსხვერპლი 2004 წელს მწყემსი ქალი გახდა, ის მოკვერაშვილმა ფერმაში გააუპატიურა და უმძიმესი დაზიანებები მიაყენა, თუმცა ციხე 5 წელიწადში ვადაზე ადრე დატოვა.

ციხის დატოვების შემდეგ სექსუალური მოძალადის სამიზნე სოფელ ყარათში კიდევ ერთი პენსიონერი გახდა. მამუკა მოკვერაშვილის დანაშაულებრივი ქმედება აქ არ დასრულებულა – მან მალევე ახალი მსხვერპლი სოფელ ხორნაბუჯში შეარჩია. მეზობელ 80 წლის პენსიონერს, რომელსაც უთვალთვალებდა, 2010 წელს საკუთარ სახლში ჯერ წერაქვით სცემა, შემდეგ კი მასზე სექსუალურად იძალადა. სასტიკი ძალადობის შემდეგ პენსიონერმა სოფელი სამუდამოდ დატოვა.

მამუკა მოკვერაშვილი კი ახლა ციხეშია, საზარელ მცდელობაში ბრალდებულმა დანაშაული პირველ სასამართლო პროცესზე აღიარა, თუმცა არ ამბობს მოტივს, რატომ გაიმეტა 64 წლის ქართულის მასწავლებელი მოსაკლავად.

მამუკა მოკვერაშვილს ახლა გისოსებს მიღმა 15 წლის გატარება მოუწევს, თუმცა ეს მუხლი მოკლულის ოჯახისთვის საკმარისი არ არის, მოკლული მასწავლებლის შვილი სექსუალური მოძალადის ციხეში უვადოდ გაშვებას ითხოვს.

# დადიანების სასახლის ეზოდან სკულპტურა „კოლხური ნანა“ მოიპარეს



ზუგდიდში დადიანების სასახლე გაძარცვეს. ეზოდან მოიპარეს ბრინჯაოს სკულპტურა „კოლხური ნანა“, რომელიც ცაიშში არქეოლოგიური გათხრების დროს არის ნაპოვნი. შემთხვევა გუშინ ღამე მოხდა.

მუზეუმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შემოვლის დროს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ქანდაკება ადგილზე არ იდგა, რის შემდეგაც მათ სამართალდამცველებს მიმართეს.

# ქობულეთში 32 წლის სამხედრო გარდაცვლილი იპოვეს

ქობულეთში მცხოვრები სამხედრო მოსამსახურე საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მოშორებით გარდაცვლილი იპოვეს. 32 წლის კაცი ქუთაისის სამხედრო ნაწილში მსახურობდა და გათავისუფლების შესახებ განცხადება დაღუპვამდე 2 დღით ადრე დაწერა. ოჯახი გამოძიების დაჩქარებას ითხოვს. ამბობენ, რომ ერთი დღით ადრე თურქეთშიც გადავიდა, თუმცა რატომ, ინფორმაცია არ აქვთ.

გასაიდუმლოებულ და საეჭვო ვითარებაზე საუბრობენ ოჯახის წევრები და პოლიციისგან ითხოვენ ამოიღონ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რათა დადგინდეს, ვისთან ერთად გადაკვეთა საზღვარი ან რა მიზნით იმყოფებოდა სხვა ქვეყანაში.

საგამოძიებო უწყებამ უკვე გამოკითხა ნათესავები. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. სამხედრო მოსამსახურე 2008 აგვისტოს ომის მონაწილე იყო, მიღებული აქვს ღირსების მედლები და სიგელები. მონაწილეობდა ავღანეთის მისიაში. დარჩა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაკეთებულა.



# ქალმა სახლში იმშობიარა და ახალშობილი სანაგვეში გადააგდო

შემზარავი ფაქტი თბილისში – ორი კვირის წინ, დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში ცხრასართულიან კორპუსში, ცხრა თვის ფეხმძიმემ ბინაში იმშობიარა. „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, ქალი სახლში იმ დროს მარტო იყო, ნაყოფიც მუცლიდან თავად გამოიყვანა, შემდეგ კი შვილი მოიშორა. პოლიცია ჩვილს ქუჩა-ქუჩა ეძებდა, ქალი კი, რომელსაც თბილისის არც ერთი კლინიკა არ იღებდა, ექიმებს ატყუებდა, ბოლოს კი იძულებული გახდა, სიმართლე გაემხილა. მშობიარობიდან რამდენიმე საათში, დაახლოებით ღამის 22:00 საათზე, როცა ოჯახის წევრები უკვე სახლში იყვნენ, ქალი მოულოდნელად დამძიმდა. ძლიერი სისხლდენა ჰქონდა, თუმცა საავადმყოფოში გადაყვანა არ უნდოდა. „ტვ პირველის“ გამომძიებელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ამ ამბის თვითმხილველები ქალის არასრულწლოვანი შვილებიც გახდნენ.

# პუტინმა უკრაინისათვის სამი სცენარი შეიმუშავა



აშშ-მ რუსების ულტიმატუმი უარყო. პუტინმა უკრაინული მიმართულებით მარცხი განიცადა. მან ვერ მოახერხა ვერც კიევის იზოლაცია, ვერც იქ პანიკის დათესვა. მეტიც, ამერიკელებმა უფრო ინტენსიურად დაიწყეს უკრაინისათვის იარაღის მიწოდება. მათ მაგალითს მიბაძეს კანადელებმა, დანიელებმა, თურქებმა და ა.შ. რუსული აგრესიის საფრთხის ფონზე გამოიკვეთა ალიანსი: ბრიტანეთი-უკრაინა-პოლონეთი. სავარაუდოდ, შემდგომში მას შეუერთდებიან ბალტიის ქვეყნები და რუმინეთი.

თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, უკრაინელთა 88% მზადაა, რუსული არმიის შეჭრის შემთხვევაში იარაღით ხელში დაიცვას სამშობლო. დღეისათვის უკრაინული არმია 440.000 მეომარს ითვლის. ომის შემთხვევაში ეს რაოდენობა 2 მილიონამდე გაიზრდება. დასავლეთი (აშშ, ევროკავშირი) კი რუსეთს დამანგრეველ სანქციებს დაუწესებს. ყველაფერმა ამან აიძულა პუტინი, ტაქტიკა შეეცვალა. დღეისათვის უკრაინასთან მიმართებაში სამი სცენარი განიხილება:

1) ფართომასშტაბიანი ინტერვენცია, როცა უკრაინას შეუტევენ როგორც დონბასის, ისე ყირიმის და ბელორუსის მხრიდან. ახალ გეო-პოლიტიკურ ვითარებაში ეს ნაკლებად რეალისტურია.

2) ჰიბრიდული ომის გაძლიერება, როცა დონბასთან ერთად დაიწყება საომარი მოქმედებები ბელორუსიდან და ყირიმიდან. პარალელურად უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე განხორციელდება ტერაქტები, დივერსიები, საბოტაჟი. მსგავსი სცენარი უფრო რეალურია, ვიდრე პირველი. ამავე დროს ის დასავლეთის სანქციებს გამოიწვევს. ეს, პლუს უკრაინული არმიის და მთელი ხალხის წინააღმდეგობა, მოსკოვს უდიდეს დანაკარგებს, პერსპექტივაში კი კრახს უქადის.

3) ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებში რუსული არმიის დამატებითი ნაწილების შეყვანა, მოსკოვის მიერ მათი ე.წ. „დამოუკიდებლობის" ოფიციალური აღიარება. ექსპერტების აზრით, რუსეთი ცდილობს, დაიყოლიოს აშშ, რომ ყოველივე დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარებით შემოიფარგლოს. დონბასის რუსები მოითხოვენ, რომ ვაშინგტონმა ამ შემთხვევაში მოსკოვს სანქციები არ დაუწესოს, ან სიმბოლური სანქციებით შემოიფარგლოს.

ექსპერტების აზრით, მესამე სცენარი ყველაზე რეალურია. რუსეთის დუმაში უკვე დევს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს პუტინისადმი მიმართვას, რათა დონეცკ– ლუგანსკის ფსევდო-რესპუბლიკები აღიაროს. თანახმად ვაშინგტონში სუკის ექს–რეზიდენტის იური შვეცის ინფორმაციისა, დონბასში ინტენსიურად მიმდინარეობს ფირმა ვაგნერის ბოევიკების გადასროლა. მზადდება პროვოკაცია, რათა მსოფლიოს თვალში უკრაინაში ჯარის შეყვანა გაამართლონ.

ახლა ბურთი პუტინის მოედანზეა. გადამწყვეტი სიტყვა მან უნდა თქვას. ამაზეა დამოკიდებული, დაიწყება უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი თუ არა.

## ბაიდენი ძალადობის წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ნიუ-იორკში ჩავიდა. ამომრჩევლებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ბოლო უნდა მოეღოს აშშ-ის ქალაქებში აზვირთებულ ძალადობას.

– აუცილებელია გამძაფრდეს კონტროლი ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვაზე, – თქვა ბაიდენმა.

## აშშ-მ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობის გეგმა გაშიფრა

აშშ-ის სადაზვერვო თანამეგობრობამ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის თაობაზე მორიგი განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი დონბასში პროვოკაციებს ამზადებს. მიზეზი უკრაინაში შეჭრის გამართლებაა.

– მზადდება აქციები, რომლებმაც მსოფლიო უნდა დაარწმუნონ, რომ უკრაინამ დაიწყო დონბასზე შეტევა, ხოლო პარალელურად რიგ უკრაინულ ქალაქებში, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა დომინირებს, დაიწყო რუსების დევნა-შევიწროება, – ამტკიცებენ ამერიკელი მზვერავები.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და პენტაგონმა ხსენებული ინფორმაცია დაადასტურეს. სამაგიეროდ, რუსეთის საელჩომ აშშ-ში ის უარყო.

– მსგავს სისულელეზე კომენტარს არ ვაკეთებთ, – ნათქვამია რუსი დიპლომატების განცხადებაში.

## ჯონსონი და მაკრონი შეთანხმდნენ

შედგა ბრიტანეთის პრემიერის ჯონსონის და საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონის სატელეფონო საუბარი. ის ძირითადად მიეძღვნა რუსეთის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რუსული აგრესიის პირობებში აუცილებელია ნატოს ერთიანობა. ჯონსონმა და მაკრონმა აღნიშნეს, რომ უკრაინაში რუსული არმიის შეჭრის შემთხვევაში შემოიღებენ მოსკოვის წინააღმდეგ ერთობლივ სანქციებს.

## ჩინეთთან დაახლოება რუსეთს ამერიკული სანქციებისაგან ვერ იხსნის

შედგა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბლინკენის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ი-ს სატელეფონო საუბარი, რომელიც მიეძღვნა პუტინის ვიზიტს პეკინში.

ბლინკენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთ-ჩინეთის დაახლოება მოსკოვს ამერიკული სანქციებისაგან ვერ იხსნის. ვერც ამ სანქციების შერბილება მოხერხდება.

– რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსებს დამანგრეველი სანქციები მოელით, – თქვა ბლინკენმა.

აღნიშნული ინფორმაცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც დაადასტურა. მისმა წარმომადგენელმა ნედ პრაისმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკული სანქციები რუსეთის მთელს ეკონომიკას გააჩანაგებს.

## გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი უკრაინაში ჩავა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალინა ბერბოკი უკრაინაში ჩავა. ვიზიტი 7-8 თებერვალსაა დანიშნული. ბერბოკი შეხვდება თავის უკრაინელ კოლეგა კულებას.

ორმხრივი შეხვედრისას განიხილება უკრაინა-გერმანიის ურთიერთობები, მოქმედების კოორდინაცია ნორმანდიული ფორმატის ფარგლებში, რუსეთის აგრესიის შემაკავებელი მთელი პაკეტი და ა.შ.

## ბერლინში შეიკრიბებიან გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და პოლონეთის ლიდერები

ბერლინში გერმანიის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის ლიდერები შეიკრიბებიან. შეხვედრას დაესწრებიან გერმანიის კანცლერი შოლცი, ბრიტანეთის პრემიერი ჯონსონი, საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი და პოლონეთის პრეზიდენტი დუდა. განხილვის ძირითადი საგანი უკრაინა იქნება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### სპორტი

## მამუკელაშვილს იშვიათად ენდობიან



სანდრო მამუკელაშვილმა ნბა-ში მორიგი მატჩი გამართა. მისი მილუოკი ბაქსი, რომელიც გასული სეზონის ჩემპიონია, სტუმრად დასავლეთ კონფერენციის რიგით გუნდ პორტლენდს შეხვდა და დამაჯერებელი სხვაობით – 137:108 დაამარცხა.

მამუკელაშვილი მოედანზე ბოლო პერიოდში გამოჩნდა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და პარკეტზე 7:28 წუთი დაჰყო. ჩვენებურმა ამ დროში 5 ქულის, 3 მოხსნისა და 2 პასის დაგროვება მოასწრო. სანდრომ 1-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 ორქულიანი გამოიყენა.

მამუკელაშვილის გუნდი 33 მოგებითა და 21 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-3 ადგილზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრას ბაქსი 7 თებერვალს კლიპერსის წინააღმდეგ გამართავს.

## საქართველოს ფიგურულ მოციგურავეთა ნაკრებს ფინალამდე ქულა დააკლდა

მხოლოდ 1 ქულა დააკლდა საქართველოს ფიგურულ მოციგურავეთა ნაკრებს, რათა პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გუნდურ ასპარეზობაში ფინალში გასულიყო.

ბოლო, მე-4 დისციპლინის წინ, სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაცია იყო, რომ მე-5 გამსვლელი ადგილისთვის იტალიას (18 ქულა), კანადასა (16) და საქართველოს (15) უნდა ებრძოლა.

ყველაფერი ქალთა მოკლე პროგრამას უნდა გადაეწყვიტა. საქართველოს სახელით მოასპარეზე ანასტასია გუბანოვას იტალიელისთვის 4, ხოლო კანადელისთვის 1 ადგილით უნდა ეჯობნა. თუმცა, ჩინელმა (21) იი ჟუმ იმდენად ცუდად ისრიალა, რომ ბოლო ადგილზე გავიდა და გუნდს მხოლოდ ქულა მოუტანა. ამ ფაქტმა მასპინძელი გუნდის ფინალში გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

გუბანოვამ 10 მონაწილეში მეოთხე შედეგი აჩვენა და შვიდი ქულა მიიღო, რითიც ჩვენი გუნდი ჩინეთს დაეწია და ორივე გუნდს 22 ქულა გაუხდა. გუბანოვამ იტალიელ ლარა ნაკი გუტმანსაც (მერვე ადგილი, 3 ქულა) ისეთი სხვაობით მოუგო, რომ უკან ჩამოიტოვა, მაგრამ კანადელ მადელინ შიზეს (მესამე ადგილი, 8 ქულა) ჩამორჩა.

საბოლოოდ, ჯამური ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი (36), 2. ამერიკა (34), 3. იაპონია (29), 4. კანადა (24), 5-6. ჩინეთი, საქართველო (22-22), 7. იტალია (20), 8. ჩეხეთი (15), 9-10. უკრაინა, გერმანია (8-8).

საქართველოსა და ჩინეთს შორის ყველაფერი დამატებითმა მაჩვენებელმა გადაწყვიტა, რომელიც 4 დისციპლინიდან 2 საუკეთესო შედეგს ითვალისწინებდა. მასპინძლებმა 16 ქულა აიღეს (1 და მე-5 ადგილები), ხოლო ჩვენებმა – 14 (2 მე-4 ადგილი) და ფინალშიც ჩინელები გავიდნენ.

ოლიმპიურ თამაშებში ჩაება მოციგავე საბა ქუმარიტაშვილიც. 21 წლის სპორტსმენმა მისთვის სადებიუტო თამაშებზე პირველი დაშვებისას 1.615-მეტრიანი ტრასა 1.00,211 წუთში დაფარა და 34 მონაწილეს შორის 30-ე შედეგი აღმოაჩნდა. მეორე დაშვებისას წამმზომი 1.00.146 წუთზე კი გააჩერა, მაგრამ უკვე 32-ე შედეგი ჰქონდა. საბოლოოდ, 2 დაშვების ჯამში 2.00,357 წუთით პირველი საშეჯიბრო დღე 31-ე ადგილზე დაასრულა.

ქუმარიტაშვილს ლიდერთან, გერმანელ იოჰანეს ლუდვიგთან 5.856-წამიანი ჩამორჩენა აქვს.

გეტყვით იმასაც, რომ ქართველი სპორტსმენი, ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილის ბიძაშვილია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## თემურ ლეფსაია: „სოხუმში, საკუთარ სახლში სტუმარივით გამგზავრება არ მინდა"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მოსთან ხელშეკრულება და – რეციდივი!

***– მორიგი ოპერაცია?***

– ამჯერად ართროსკოპიით შემოიფარგლნენ. ახლა ჯანო საქართველოს ჩემპიონ ბათუმის დინამოსთან ერთად თურქეთში შეკრებაზეა. ჯერ უკონტრაქტოდ. თავად შესთავაზა ხელმძღვანელობას, რომ მოვლენები არ დაეჩქარებინათ. ვნახოთ, როგორ რეაგირებას მოახდენს ფეხი დატვირთვებზე.

***– რუსეთში აღარ დაბრუნდება?***

– რატომაც არა? ბათუმის დინამოსთან ერთად თუ ევროტურნირებზე „გაისვრის", ტრავმას არ მიიღებს, ვფიქრობ, პრემიერლიგაში ანანიძეს გაიხსენებენ. მისთვის ფული ნამდვილად არ დგას პირველ ადგილზე. კარიერის მანძილზე ცოტა არ გამოიმუშავა. ახლა სურს ფეხბურთისგან სიამოვნება მიიღოს.

***– ჯანო ქობულეთში დაიბადა, თქვენ – სოხუმში?***

– დიახ, იქ 12 წლამდე ვცხოვრობდი. 1992 წელს ომი იყო. 1993 წლის ივლისში ზავი გამოაცხადეს. ყველა, ვინც აფხაზეთიდან წასული იყო, უკან დაბრუნდა. ისე მოჩანდა, ცხოვრება დაწყნარდა, სკოლაში წავედი... სექტემბერში ომი ისევ განახლდა. ზოგმა ქალაქის შავი ზღვის ფლოტის გემებით დატოვება მოახერხა. საბერძნეთიდან თავიანთი თანამემამულეებისათვის უზარმაზარი გემი გამოაგზავნეს.

ჩვენი ოჯახით აეროპორტში წავედით, სადაც ვნახეთ, როგორ იწვოდა 2 თვითმფრინავი. ერთს დაჭრილები გადაჰყავდა, მეორეს – ლტოლვილები. ორივე დაქირავებულმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს. ცხადი გახდა, რომ ალყაში მოქცეული ქალაქიდან გაღწევა მხოლოდ კოდორის ხეობიდან იყო შესაძლებელი. 3 დღე ფეხით მივდიოდით. წარმოიდგინეთ, გაუბედურებული ხალხი ომს გაურბის. დაჭრილები, ქალები, ბავშვები, მოხუცებულები. ყველას საზაფხულო ტანსაცმელი აცვია. სოხუმში ცხელა, 30 გრადუსია, მთებში კი უკვე მოთოვა, საშინელი სიცივეა. გაყინული გვამები გხვდებოდა. ღამეს ღია ცის ქვეშ ან მწყემსების სახლებში ვათევდით, სადაც ყოველი მხრიდან ქარი უბერავდა. ცეცხლს ანთებ, ზიხარ და თბები. ბოლოს სვანეთამდე მივაღწიეთ, სოფელი ჭუბერი. იქიდან სამხედრო ვერტმფრენებს, მათ შორის უკრაინელებისა და სომხებისას ხალხი ქუთაისში გადაჰყავდა. ერთი ჩვენს თვალწინ უფსკრულში ჩავარდა.

***– ჩამოაგდეს?***

– არა. გადატვირთული იყო. ქუთაისში ავტოქარხნის ტერიტორიაზე კარვების ბანაკი მოაწყვეს. იქ ვიცხოვრეთ, მერე თბილისში წავედით. საავადმყოფოში. სხვა ადგილი ლტოლვილებისთვის არ მოინახა. ბოლომდე გვქონდა იმედი, რომ ომი დასრულდებოდა და დავბრუნდებოდით სოხუმში. როდესაც მივხვდით, რომ ეს არარეალური იყო, რამენსკოეში გავემგზავრეთ, სადაც მამას ნაცნობები ჰყავდა.

***– ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ქართველთაგან ვიღაც დარჩა აფხაზეთში?***

– დიახ. მაგალითად, ჩემმა ბაბუამ თქვა, რომ მთელი ცხოვრება იქ ცხოვრობდა, არავისთვის ცუდი არ გაუკეთებია და დარჩა. იმავე 1993 წელს დახვრიტეს.

***– სოხუმში თქვენს სახლს რა მოუვიდა?***

– ალბათ, იქ ვიღაც ცხოვრობს. კარგი სახლია, ზღვის პირას, ქალაქის ცენტრში.

***– თქვენ 1993 წლის შემდეგ სოხუმში იყავით?***

– არა. გული არ მიმიწევს. აფხაზეთში ბევრი მეგობარი მყავს, ისინი ჩემს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ... მაგრამ სახლში სტუმარივით გამგზავრება? არ მინდა!

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## სპრეი მენტორი 7

გამოიყენება გაცივებისას, სურდოს, პლევრიტისა და ალერგიის დროს ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად. დამზადებულია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

**ჩვენება:** ნადგურდება მავნე ბაქტერიები ცხვირის არხებსა და პირის ღრუში, თხელდება ნახველი, ძლიერდება ორგანიზმის იმუნიტეტი, უმჯობესდება სუნთქვა.

**გამოყენების წესი:** კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, შევისხუროთ სპრეი ცხვირის არხებსა და პირის ღრუში (ყელში).

## წამალი სითხე მენტორი რვა

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, დაზიანებულ თავის კანში შესაზელი წამალი სითხე, სამკურნალო საშუალება მენტორი რვა.

გამოიყენება მშრალი თავის კანის, ქავილის, ქერტლის, ფსორიაზის, გამონაყარის, ალერგიის, ნაოჭების სამკურნალოდ. ბამბა უნდა დავასველოთ წამალში და შევიზილოთ მშრალი თავის კანის ძირებში, უნდა გავაჩეროთ 15-20 წუთი, შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით. ეს პროცესი უნდა გავიმეოროთ ყოველი თავის დაბანის დროს. მკურნალობისას მაგრდება თმის ძირები, ქრება ქავილი, ქერტლი, გამონაყარი, ნადგურდება სოკოვანი დაავადება.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# თემურ ლეფსაია: „სოხუმში, საკუთარ სახლში სტუმარივით გამგზავრება არ მინდა“



ქართველი საფეხბურთო აგენტი **თემურ ლეფსაია** რუსეთში მოღვაწეობს. იქაურმა მედიამ ლეფსაიასთან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ქართველი ფეხბურთელებისა და სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზეთის დატოვებაზე ისაუბრა.

***– ენების ცოდნით ყველაზე მეტად ვინ გაგაკვირვათ?***

– შოთა არველაძემ, რომელიც ქართულად, რუსულად, თურქულად, ინგლისურად, ესპანურად, გერმანულად და ნიდერლანდურად კარგად საუბრობს. გარდა ამისა, მაგარი იუმორის გრძნობა აქვს. როგორღაც საქართველოში 3 დღით ვალერი კარპინთან და რომან აღსაბაძესთან ერთად ჩავედით, ერთმა ნაცნობმა დამირეკა – შოთა ქალაქშია. შევხვდით. საღამო მშვენივრად გავატარეთ. იმდენი ვიცინეთ, შემდეგ მუცლის კუნთები გვტკიოდა. სამწუხაროა, რომ კრასნოდარი არ ჩაიბარა, თუმცა ჰალიც არაა ურიგო.

***– თქვენ რამდენი ენა იცით?***

– ინგლისური, ესპანური და პორტუგალიური. მესმის იტალიური. დავიწყე სწავლა, მაგრამ ბოლომდე ვერ მოვახერხე.

***– ხვიჩასთან დაკავშირებით კონსულტაციისთვის სევილია რატომ დაგიკავშირდათ?***

– სევილიას სპორტულ დირექტორს, მონჩის ვიცნობ. ხვიჩას საკითხი წელიწადნახევრის წინ განვიხილეთ და დადებითი დახასიათება მივეცი. დარწმუნებული ვარ, მისით მრავალი კლუბია დაინტერესებული. თუმცა, ჩემი აზრით, მისთვის იდეალური ვარიანტი აიაქსი იქნებოდა.

***– ასე მიგაჩნიათ?***

– იქ უამრავ გოლს გაიტანდა. ჰოლანდიაში გახსნილი ფეხბურთია, 4-3-3 სქემა, რომლითაც აიაქსი თამაშობს, ხვიჩასთვის იდეალური იქნებოდა. სწრაფია, ტექნიკური, დროულად მიდის დრიბლინგზე. რუბინიდან ევროპის ტოპ 5-ის ჩემპიონატში გადაბარგება რთულია. ერედივიზიონში კი, ერთ სეზონში შეიძლება უკეთეს ლიგაში დაწინაურება.

***– 2019 წელს ჯანო რატომ არ გადავიდა ვიტესში?***

– მას ძალიან უნდოდა გადასვლა, ისიც კი არ აღელვებდა, რომ ხელფასის 60%-ს კარგავდა. მაშინ სლუცკი იყო მწვრთნელი და ჯანოთი დაინტერესებული გახლდათ. უარზე არც სპარტაკი იყო. საქმე ვიტესის იურისტებმა შეაჩერეს. ისინი ჯანოს საიჯარო პერიოდისას მთელი ხელფასის და კიდევ უზარმაზარი ჰოლანდიური გადასახადის, 52%-ის გადარიცხვას ითხოვდნენ. ეს სპარტაკისთვის წამგებიანი იყო და ალტერნატიული ვარიანტი შევთავაზეთ.

***– როგორი?***

– სპარტაკი ჯანოსთან კონტრაქტს გაწყვეტდა. მე, როგორც ფეხბურთელის წარმომადგენელი, გარანტად გამოვდიოდი, რომ უკან დაბრუნების შემდეგ სპარტაკთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებდა. თავის მხრივ, ვიტესი კონტრაქტს იმ თანხიდან გამომდინარე გაუფორმებდა, რომელიც მზად იყო გადაეხადა.

***– რატომ არ მოეწონათ ეს ვარიანტი?***

– ის, რომ ეს უკვე იჯარა კი არა, არამედ სრულფასოვანი კონტრაქტი იყო. სპარტაკი არაფერს იზარალებდა. ვიტესის იურისტებმა დაიჟინეს, რომ არ შეიძლებოდა! თითქოს ფარული იჯარა გამოდიოდა. სულ მადრიდის რეალის მაგალითი მოჰყავდათ, სადაც მარტინ ედეგორი გადავიდა – ჩვენ მადრიდიდან მშვიდად გადმოგვირიცხეს მთელი ფული. დაე, სპარტაკმაც იგივე გააკეთოს.

არადა, ესპანეთში საშემოსავლო გადასახადი 45%-ია, ხოლო რუსეთში – 13%. ასე რომ, სპარტაკისგან განსხვავებით, რეალისთვის სულ ერთი იყო.

***– ჯანოს აგენტი როდის გახდით?***

– მოდით, თავიდანვე შევიტან სიცხადეს – ჯანოს აგენტი არასოდეს ვყოფილვარ. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს და არა საქმიანი.

***– მაგრამ 2016 წელს მან სპარტაკთან ახალი ხელშეკრულება თქვენი მონაწილეობით გააფორმა.***

– დიახ.

***– და წელიწადში თითქმის 2 მილიონი ევროს გამომუშავება დაიწყო! გაგვიმხილეთ საიდუმლო – როგორ მოახერხეთ ასეთ ხელფასზე შეთანხმების მიღწევა?***

– გულახდილად გეტყვით, ძალიან რთული მოლაპარაკებები იყო. სპარტაკი ფეხბურთელის შენარჩუნებაზე ოცნებობდა, მას კი არსად წასვლა არ სურდა, კლუბისთვის ხელების გადაგრეხვას არ აპირებდა. ამიტომ კომპრომისი სწრაფად მოვძებნეთ.

***– 2020 წელს ჯანო როტორში გადავიდა, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო ერთ თვეში კონტრაქტი გაწყვიტეს. შემდეგ სეზონში თბილისის დინამოში 26 წუთი ითამაშა. კარიერის დასასრული მოახლოვდა?***

– არა! ჯანოს სახელი კარგა ხანია არ ისმის და ბევრს ჰგონია, უკვე 45 წლისაა. ოქტომბერში 30 წლის გახდება. კიდევ უნდა ითამაშოს და ითამაშოს.

***– რა უშლის ხელს?***

– ტრავმა. როტორიდან იმიტომ წავიდა, რომ მუხლის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. მოირჩინა ტრავმა, გააფორმა თბილისის დინა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## შედეგები

### 5 თებერვალი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**
**მე-3 ადგილისთვის**

ბურკინა ფასო-კამერუნი ....... 3:3(3:5პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-უოტფორდი ..................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 18 | 3 | 2 | 55-14 | 57 |
| 2.ლივერპული | 22 | 14 | 6 | 2 | 58-19 | 48 |
| 3.ჩელსი | 24 | 13 | 8 | 3 | 48-18 | 47 |
| 4.მანჩესტერი | 22 | 11 | 5 | 6 | 36-30 | 38 |
| 5.ვესტ ჰემი | 23 | 11 | 4 | 8 | 41-31 | 37 |
| 6.არსენალი | 21 | 11 | 3 | 7 | 33-25 | 36 |
| 7.ტოტენჰემი | 20 | 11 | 3 | 6 | 26-24 | 36 |
| 8.ვულვზი | 21 | 10 | 4 | 7 | 19-16 | 34 |
| 9.ბრაიტონი | 22 | 6 | 12 | 4 | 23-23 | 30 |
| 10.ლესტერი | 20 | 7 | 5 | 8 | 34-37 | 26 |
| 11.ასტონ ვილა | 21 | 8 | 2 | 11 | 28-32 | 26 |
| 12.საუთჰემპტონი | 22 | 5 | 10 | 7 | 26-34 | 25 |
| 13.კრ.პალასი | 22 | 5 | 9 | 8 | 31-34 | 24 |
| 14.ბრენტფორდი | 23 | 6 | 5 | 12 | 26-38 | 23 |
| 15.ლიდსი | 21 | 5 | 7 | 9 | 24-40 | 22 |
| 16.ევერტონი | 20 | 5 | 4 | 11 | 24-35 | 19 |
| 17.ნორვიჩი | 22 | 4 | 4 | 14 | 13-45 | 16 |
| 18.ნიუკასლი | 21 | 2 | 9 | 10 | 21-43 | 15 |
| 19.უოტფორდი | 21 | 4 | 3 | 14 | 23-40 | 15 |
| 20.ბარნლი | 19 | 1 | 10 | 8 | 16-27 | 13 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექპული-ბრისტოლი ..................... 3:1
ჰალი-პრესტონი ..................... 0:1
სუონსი-ბლექბერნი ..................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-გლადბახი ..................... 1:1
აუგსბურგი-უნიონი ..................... 2:0
კიოლნი-ფრაიბურგი ..................... 1:0
მაინცი-ჰოფენჰაიმი ..................... 2:0
შტუტგარტი-აინტრახტი ..................... 2:3
ბაიერნი-ლაიფციგი ..................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 17 | 1 | 3 | 68-21 | 52 |
| 2.დორტმუნდი | 20 | 14 | 1 | 5 | 52-31 | 43 |
| 3.ლევერკუზენი | 20 | 10 | 5 | 5 | 49-32 | 35 |
| 4.უნიონი | 21 | 9 | 7 | 5 | 29-27 | 34 |
| 5.ფრაიბურგი | 21 | 9 | 6 | 6 | 33-24 | 33 |
| 6.კიოლნი | 21 | 8 | 8 | 5 | 33-34 | 32 |
| 7.ლაიფციგი | 21 | 9 | 4 | 8 | 40-26 | 31 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 21 | 9 | 4 | 8 | 41-34 | 31 |
| 9.აინტრახტი | 21 | 8 | 7 | 6 | 33-32 | 31 |
| 10.მაინცი | 21 | 9 | 3 | 9 | 30-23 | 30 |
| 11.ბოხუმი | 21 | 7 | 4 | 10 | 20-30 | 25 |
| 12.გლადბახი | 21 | 6 | 5 | 10 | 27-38 | 23 |
| 13.ჰერტა | 21 | 6 | 5 | 10 | 23-43 | 23 |
| 14.არმინია | 21 | 4 | 10 | 7 | 21-27 | 22 |
| 15.აუგსბურგი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-35 | 22 |
| 16.ვოლფსბურგი | 20 | 6 | 3 | 11 | 17-32 | 21 |
| 17.შტუტგარტი | 21 | 4 | 6 | 11 | 24-38 | 18 |
| 18.ფიურტი | 20 | 2 | 4 | 14 | 17-52 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვერდერი-კარლსრუე ..................... 2:1
ზანდჰაუზენი-აუე ..................... 2:0
შალკე-რეგენსბურგი ..................... 2:1
ზ.პაული-პადერბორნი ..................... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ელჩე-ალავესი ..................... 3:1
მალიორკა-კადისი ..................... 2:1
სელტა-რაიო ..................... 2:0
ოსასუნა-სევილია ..................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 15 | 5 | 2 | 46-19 | 50 |
| 2.სევილია | 23 | 13 | 8 | 2 | 34-16 | 47 |
| 3.ბეტისი | 22 | 12 | 4 | 6 | 41-25 | 40 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 10 | 6 | 5 | 36-26 | 36 |
| 5.ბარსელონა | 21 | 9 | 8 | 4 | 32-23 | 35 |
| 6.სოსიედადი | 21 | 9 | 7 | 5 | 22-21 | 34 |
| 7.ვილიარეალი | 22 | 8 | 8 | 6 | 36-23 | 32 |
| 8.რაიო | 22 | 9 | 4 | 9 | 27-24 | 31 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 10 | 5 | 21-17 | 31 |
| 10.სელტა | 23 | 8 | 6 | 9 | 28-25 | 30 |
| 11.ვალენსია | 22 | 7 | 8 | 7 | 35-36 | 29 |
| 12.ოსასუნა | 23 | 7 | 8 | 8 | 22-27 | 29 |
| 13.ესპანიოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 26-30 | 27 |
| 14.ელჩე | 23 | 6 | 8 | 9 | 26-31 | 26 |
| 15.ხეტაფე | 23 | 6 | 7 | 10 | 20-23 | 25 |
| 16.გრანადა | 22 | 5 | 9 | 8 | 26-33 | 24 |
| 17.მალიორკა | 22 | 5 | 8 | 9 | 19-34 | 23 |
| 18.კადისი | 23 | 3 | 9 | 11 | 20-38 | 18 |
| 19.ალავესი | 23 | 4 | 5 | 14 | 17-38 | 17 |
| 20.ლევანტე | 22 | 1 | 8 | 13 | 21-46 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სოსიედადი ბ-ლუგო ..................... 1:1
სარაგოსა-მალაგა ..................... 1:1
ხირონა-პონფერადინა ..................... 3:0
ხიხონი-ეიბარი ..................... 0:1

**იტალია. სერია ა**

რომა-ჯენოა ..................... 0:0
ინტერი-მილანი ..................... 1:2
ფიორენტინა-ლაციო ..................... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 54-19 | 53 |
| 2.ნაპოლი | 23 | 15 | 4 | 4 | 43-16 | 49 |
| 3.მილანი | 24 | 16 | 4 | 4 | 49-26 | 52 |
| 4.ატალანტა | 22 | 12 | 7 | 3 | 44-26 | 43 |
| 5.იუვენტუსი | 23 | 12 | 6 | 5 | 34-21 | 42 |
| 6.რომა | 24 | 12 | 3 | 9 | 40-30 | 39 |
| 7.ლაციო | 24 | 11 | 6 | 7 | 49-39 | 39 |
| 8.ფიორენტინა | 23 | 11 | 3 | 9 | 41-33 | 36 |
| 9.ვერონა | 23 | 9 | 6 | 8 | 43-38 | 33 |
| 10.ტორინო | 22 | 9 | 5 | 8 | 30-21 | 32 |
| 11.ემპოლი | 23 | 8 | 5 | 10 | 37-47 | 29 |
| 12.სასუოლო | 23 | 7 | 8 | 8 | 39-38 | 29 |
| 13.ბოლონია | 22 | 8 | 3 | 11 | 29-37 | 27 |
| 14.სპეცია | 23 | 7 | 4 | 12 | 24-42 | 25 |
| 15.უდინეზე | 21 | 4 | 9 | 8 | 28-36 | 21 |
| 16.სამპდორია | 23 | 5 | 5 | 13 | 29-41 | 20 |
| 17.ვენეცია | 22 | 4 | 6 | 12 | 20-40 | 18 |
| 18.კალიარი | 23 | 3 | 8 | 12 | 22-44 | 17 |
| 19.ჯენოა | 24 | 1 | 11 | 12 | 20-45 | 14 |
| 20.სალერნიტანა | 21 | 3 | 2 | 16 | 14-50 | 11 |

**იტალია. სერია ბ**

ალესანდრია-პიზა ..................... 1:1
ბენევენტო-პარმა ..................... 0:0
კოზენცა-ბრეშა ..................... 0:0
კომო-ლეჩე ..................... 1:1
კროტონე-ჩიტადელა ..................... 0:0
ტერნანა-რეჯინა ..................... 2:0
ფროზინონე-ვიჩენცა ..................... 2:0
ასკოლი-პერუჯა ..................... 0:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-მონპელიე ..................... 3:1
მონაკო-ლიონი ..................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 16 | 5 | 1 | 46-18 | 53 |
| 2.მარსელი | 23 | 12 | 7 | 4 | 36-20 | 43 |
| 3.ნიცა | 22 | 13 | 4 | 5 | 36-18 | 42 |
| 4.მონაკო | 23 | 10 | 6 | 7 | 37-26 | 36 |
| 5.სტრასბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 44-29 | 35 |
| 6.რენი | 22 | 10 | 4 | 8 | 41-21 | 34 |
| 7.მონპელიე | 23 | 10 | 4 | 9 | 38-33 | 34 |
| 8.ლიონი | 23 | 9 | 8 | 6 | 31-30 | 34 |
| 9.ლანსი | 22 | 9 | 6 | 7 | 36-31 | 33 |
| 10.ნანტი | 22 | 9 | 5 | 8 | 30-27 | 32 |
| 11.ლილი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-30 | 32 |
| 12.ანჟე | 23 | 7 | 8 | 8 | 30-34 | 29 |
| 13.ბრესტი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-33 | 28 |
| 14.რეიმსი | 22 | 5 | 9 | 8 | 22-27 | 24 |
| 15.კლერმონი | 22 | 5 | 6 | 11 | 22-39 | 21 |
| 16.ტრუა | 22 | 5 | 5 | 12 | 20-31 | 20 |
| 17.ბორდო | 22 | 4 | 8 | 10 | 34-53 | 20 |
| 18.მეცი | 22 | 4 | 7 | 11 | 24-43 | 19 |
| 19.სტ.ეტიენი | 23 | 4 | 6 | 13 | 22-44 | 18 |
| 20.ლორიანი | 22 | 3 | 8 | 11 | 18-38 | 17 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ტულუზა-დიჟონი ..................... 4:1
გენგამი-ოსერი ..................... 1:1
კევიი-გრენობლი ..................... 1:0
ნანსი-კაენი ..................... 1:1
ნიმი-დიუნკერკი ..................... 0:1
ნიორი-ლე ავრი ..................... 0:0
როდეზი-ვალანსიენი ..................... 0:0
ბასტია-პო ..................... 1:1
სოშო-ამიენი ..................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ეშტორილი ..................... 0:0
ფერეირა-პორტიმონენშე ..................... 1:1
გიმარაეში-ბრაგა ..................... 2:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-კამბური ..................... 3:2
სიტარდი-ჰერენვენი ..................... 2:0
ზვოლე-ნამეგენი ..................... 1:1
პსვ-ალკმაარი ..................... 1:2
ტვენტე-ვიტესი ..................... 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი ..................... 1:3
ოსტენდე-ლეუვენი ..................... 1:3

**ლეუვენის პირველი გოლი**
**ლევან შენგელიამ გაიტანა**

სტანდარდი-სერკლი ..................... 1:1
ანტვერპენი-სენ ჟილუა ..................... 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-აბერდინი ..................... 2:1
სტ.ჯონსონი-დ.იუნაიტედი ..................... 0:0
დანდი-როსი ..................... 1:2
ჰიბერნიანი-სტ.მირენი ..................... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანტეპი-სივასი ..................... 5:1
ტრაბზონი-ქაშიმფაშა ..................... 1:0
ქარაგუმრუქი-მალათია ..................... 1:0
ფენერბახჩე-ბაშაქშეჰირი ..................... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ვოლოსი ..................... 0:2
პანეთოლიკოსი-იანინა ..................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-ლოზანა ..................... 1:0
გრასჰოპერსი-ციურიხი ..................... 1:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სლავია-კარვინა ..................... 0:1
ტეპლიცე-ბოჰემიანსი 1905 ..................... 1:0
იაბლონეცი-სიგმა ..................... 1:0
ჩესკე-სპარტა ..................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრალიგა**

სტალი-გურნიკი ..................... 1:2
პიასტი-პოგონი ..................... 0:2
ლეხია-სლასკი ..................... 2:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-ჰონვედი ..................... 3:2
დიორმოტი-უიპეშტი ..................... 1:0
ფეჰერვარი-დებრეცენი ..................... 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 2. მდინარე ამსტერდამში; 3. ტანსაცმლის და თეთრეულის კარადა; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. მუნჯი კინოს კომიკოსი; 9. საქართველოს ნაკრებისა და „კოპენჰაგენის“ ფეხბურთელი; 12. ნიუ იორკში „თავისუფლების ქანდაკების“ ავტორი, ფრანგი მოქანდაკე; 13. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ქიმიური ინდიკატორი; 19. ბუბა ხოტივარის მხატვრული ფილმი; 20. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი.

**თარაზულად:** 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ავსტრალიის დედაქალაქი; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. კინოს ძველებური სახელწოდება; 15. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 18. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისათვის; 21. სველ კედელზე შესრულებული მხატვრობა; 22. გერმანიის კანცლერი; 23. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 24. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი.

*შეაადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაკირი; 2. არგო; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. ლაუდერი; 8. უშგული; 9. ზინგშპილი; 12. იუმორი; 14. კურტუა; 16. ოკაცე.

**თარაზულად:** 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. კონუნგი; 9. ზღარბი; 10. ბიზე; 11. პულმანი; 13. ტოკაი; 15. სულიკო; 17. ჯიბგირი; 18. ხორავა; 19. ყურუში; 20. ჰელიოსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კურტაჟი; 2. თუშმალი; 3. ნიველირი; 4. სიგალი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. აბაკელია; 13. პლატინა; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. აკაცია; 20. შუქურა.

**თარაზულად:** 6. ბურდუხანი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. იავნანა; 11. დაბა; 15. ჟანდარმი; 14. ბილტმორი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ხუნდი; 23. ალმასი; 24. ვირსალაძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9867

ევრო — 3.4248

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0488

100 რუსული რუბლი — 3.9367

## ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისათვის




## ოლივიე ჟირუ: „მილანით ვამაყობ“



მილანმა ინტერი დაამარცხა ანგარიშით 2:1 და პირველი ტაიმის შემდეგ მილანი აგებდა, ხოლო მეორე ტაიმში კი შეძლო მატჩის სადავეების შემოტრიალება და გამარჯვება მოახერხა. მატჩის შემდეგ ფრანგი ფორვარდი ოლივიე ჟირუ კმაყოფილებას არ მალავდა და, მისი აზრით, მილანმა შეძლო ხასიათის ჩვენება: „პირველი ტაიმის შემდეგ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ მოვიგებდით, მაგრამ ეს ასე მოხდა და ვამაყობ, რომ მილანის ფეხბურთელი ვარ და ჩემ გუნდს გუშინ დავეხმარე“.

## კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა მანჩესტერიდან წავიდეს




მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა გუნდიდან წავიდეს და პორტუგალიაში, კერძოდ, მშობლიურ ლისაბონის სპორტინგში დაბრუნდეს. ბევრი საუბარია იმის შესახებ, რომ რონალდუს დაძაბული ურთიერთობა აქვს რალფ რანგნიკთან და ამის გამო ის მანჩესტერში ბედნიერი არ არის. თვითონ პორტუგალიელი ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

## დე ლიხტი შესაძლოა ბარსელონას ფეხბურთელი გახდეს




ტურინის იუვენტუსის ცენტრალური მცველი მატიას დე ლიხტი შესაძლოა ბარსელონაში გადავიდეს და ეს ტრანსფერი კატალონიელებს მინიმუმ 40 მილიონი დაუჯდებათ. დე ლიხტმა იუვენტუსში იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა და არ არის გასაკვირი, თუ იუვენტუსს მისი გაყიდვა უნდა, ხოლო ბარსელონას კი ახალი ცენტრალური მცველი სჭირდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ბავშვს დედა დაეკარგა მაღაზიაში და ტირის. დეიდას შეეცოდა და ეუბნება:

– დედის კაბისთვის მაინც უნდა ჩაგევლო ხელი და არ დაიკარგებოდი!

– დედის კაბას ვერ ვწვდები!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, როგორი ძვირფასი საჩუქარი მომართვი და საიდან ასეთი საჩუქრისთვის ფული?

– ის წინდები გავყიდე, შენ რომ დაბადების დღეებზე მჩუქნიდი.

•••

ინსტრუქტორს ახალბედა პარაშუტისტი ეკითხება:

– იმ შემთხვევაში, თუ არც მთავარი და არც სათადარიგო პარაშუტი არ გაიხსნება, მიწამდე რამდენ ხანს ვიფრენ?

– მთელ დარჩენილ ცხოვრებას!

•••

გვიან ღამით პატარა სასტუმროსთან მისული ტურისტი კართან მდგომ მამაკაცს ეკითხება:

– ამ სასტუმროში კარგად გამოძინება შესაძლებელია?

– მე მგონი, კი, უკვე ნახევარი საათია, კარზე ვაბრახუნებ და აქამდე ვერავინ გავაღვიძე.

•••

ცოლი და ქმარი ბეწვეულის მაღაზიაში შედიან. ქალი აღფრთოვანებული უყურებს ძვირფასი ბეწვის ქურქს. ამ დროს მათთან გამყიდველი გოგონა მოირბენს და ეკითხება:

– რამეს ეძებთ?

– საკვებს ჩრჩილისთვის, – უპასუხა მამაკაცმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნას ახალი ფეხსაცმელი 875 დოლარი ღირს



დიზაინერი დემნა გვასალია მოდის სიახლეების მოყვარულებს ახალ ფეხსაცმელს სთავაზობს.

ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი კოსტიუმი, აქსესუარი, ფეხსაცმელი, სამკაული თუ ჩანთა გაყიდვაში ჩაშვების წუთიდან ელვის სისწრაფით იყიდება და მისი მომხმარებლები მსოფლიოში ცნობილი მომღერლები, მსახიობები და მოდელები ხდებიან.

ამჯერად დემნამ სრულიად ახლებური ფეხსაცმელი გამოუშვა, რომელიც თავადაც მოირგო და საზოგადოების წინაშე საკუთარი ნამუშევრით გამოჩნდა.

## ლელა წურწუმია გადაცემაში მამულიჩასთან ერთად ბრუნდება



მომღერალი ლელა წურწუმია ახალ სატელევიზიო სეზონზე გადაცემაში „მხოლოდ ლელასთან“ ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში სიახლეებით ბრუნდება.

როგორც მომღერალი ირწმუნება, ეს იქნება სრულიად ახლებური და განსხვავებული გადაცემა მრავალი საინტერესო დეტალით.

პირველი სიახლე, რომელიც ლელა წურწუმიას გადაცემასთან დაკავშირებით უკვე ცნობილი გახდა, ახალი სეზონის პირველივე ეთერში მასთან ერთად მისი პროდიუსერი და მეუღლე – კახა მამულაშვილი იგივე მამულიჩაც იქნება.

## ტრაგიკულად დაღუპული გიორგი არადელი-იშხნელი ხელოვანებმა გაიხსენეს




მსახიობ გიორგი არადელი-იშხნელის ტრაგიკულად აღსრულების 102 წლისთავი ქარელში აღინიშნა. ამ დღეს ქარელის რაიონის სოფელ არადეთის საბა განწმენდილის სახელობის ტაძრის ეზოში, სადაც სამუდამოდ განისვენებს ლეგენდარული ქართველი მსახიობი, ქართული სცენის მშვენების ნუცა ჩხეიძის ულირსეულესი პარტნიორი გიორგი არადელი-იშხნელი, ტრადიციულად აღინიშნა ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით.

ამ ტრადიციის დამაარსებელმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ დამსწრე საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენა ამ შესანიშნავი მსახიობის დიდი შემოქმედებითი წარმატებებისა და ტრაგიკული აღსასრულის ესოდენ გამორჩეული ცხოვრების სურათები. 38 წლის ასაკში მსახიობმა შეძლო ისეთი ხალასი ნიჭიერებისა და პიროვნული ხიბლის ჩვენება, რომ იგი ლადო მესხიშვილის სიცოცხლეშივე აღიარებულ იქნა მის მემკვიდრედ, რაც უსათუოდ პატივია ნებისმიერი მსახიობისთვის. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე თემურ ხუბულური, ადგილობრივი საკრებულოსა და პრესის წარმომადგენლები, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, თეატრმცოდნე ნერონ აბულაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მხატვარი ა. ჩაჩავა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გივი ჩუგუაშვილი... გადაწყდა, რომ წელს, 8 ივნისს, როცა 140 წლისთავი სრულდება გიორგი არადელი-იშხნელის დაბადებიდან, მადლიერი შთამომავლები ისევ შეიკრიბებიან მის საფლავთან, თავად იუბილე კი, რომლის ჩასატარებლად დაისახა მრავალი ღონისძიება – მისი სახელობის სტიპენდია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყოველწლიური პრემია თეატრალურ საზოგადოებაში, ამის გარდა, ქარელის რაიონში რომელიმე სკოლას და კულტურულ ცენტრს მიენიჭება გიორგი არადელი-იშხნელის სახელი და ა.შ. რაც მთავარია, მსახიობის საფლავზე უკვე შეიცვალა ძველი, უვარგისი მასალითა და ფაქტობრივი შეცდომებით დადგმული საფლავის ქვა და ჩვენი ცნობილი მსახიობის, გივი ჩუგუაშვილის ხელით დაიდგა ახალი, რომელზედაც მსახიობის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი გარკვევითაა მითითებული.

## სვანური ზარის ერთ-ერთი ბოლო შემსრულებელი ენვერ ქალდანი გარდაიცვალა

84 წლის ასაკში სვანური ზარის ერთ-ერთი ბოლო შემსრულებელი ენვერ ქალდანი



გარდაიცვალა. 70 წლის განმავლობაში მისი მონაწილეობით შესრულებული ზარი განსხვავებული და გამორჩეული იყო.

– სვანურ ზარს საფრთხე ემუქრება. ცხუმარში, ლაბსყალდიდან დაწყებული, ღვებალდის ჩათვლით, უფროსებმა, ყველამ იცოდა ზარი. მერე მათმა შვილებმა, მერე ჩვენ, ახლა კაციშვილი აღარაა, – ეს იყო მომღერლის მთავარი გულისტკივილი.

ენვერ ქალდანის გარდაცვალების შესახებ სამწუხარო ინფორმაცია გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– სამწუხარო ამბავი შემატყობინეს სვანეთიდან. გარდაიცვალა ძალიან დიდი ქართველი, სვანური სიმღერის შესანიშნავი მცოდნე და შემსრულებელი ენვერ ქალდანი. ძალიან მიყვარს სვანეთი. ხალხი, ფოლკლორი, ეთნოგრაფია და ა.შ.

ჩემი ეს დიდი სიყვარული ადამიანების დამსახურებაა და ერთ-ერთი პირველი ენვერ ქალდანი იყო. გულდაწყვეტილი ვარ მისი გარდაცვალებით. მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ ენვერს დიდი ეროვნული საქმისთვის. სიცოცხლის ბოლო წუთამდე რომ უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენს სამშობლოს.

## ზაზა ხალვაშის უკანასკნელ ფილმს ბერლინის კინოფესტივალზე წარადგენენ



რეჟისორ ზაზა ხალვაშის უკანასკნელ ფილმს „ლოტო“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ევროპულ ბაზარზე წარადგენენ.

„ლოტო“ რეჟისორმა 2019 წელს გადაიღო. რეჟისორისთვის ინსპირაციის წყარო ბათუმურ ეზოში გატარებული ცხოვრება გახდა. ფილმში ნაჩვენები ამბები XX საუკუნის მეორე ნახევრის ბათუმურ ცხოვრებაზეა.

ზაზა ხალვაში 64 წლის ასაკში, 2 წლის წინ, ფილმის პრემიერამდე გარდაიცვალა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 7 თებერვლისათვის

**ვერძი** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კურო** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **ლომი** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** – ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **თხის რქა** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ელოდეთ. **მერწყული** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ასე განაიარაღებთ. **თევზები** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება სამომავლოდ გადადეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უძველესი ქართული დამწერლობა; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელი; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. ფრანგი მოქანდაკე; 9. ლიტერატურული კრებული, სადაც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა რჩეული ნაწარმოებები; 12. უდაბნოდან მობერილი მშრალი ცხელი ქარი; 14. მთის ბროლი, კვარცის ნაირსახეობა; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ქალაქი, კანტონი, ტბა შვეიცარიაში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჯელესში; 11. კუთხე საქართველოში; 13. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 15. ქართველი მგოსანი; 17. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 18. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ტაივანის დედაქალაქი; 20. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

